140/2
1970
ეროვნული ბიბლიოთეკა




# პიონერი

9

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი, ჩემო საყვარელო ბავშვებო! თქვენს მშობლებთან და თქვენთან ერთად მეც მოუთმენლად ველოდი ამ დღეს, როდესაც თქვენი სკოლის ზარი პირველად აწკრიალდებოდა. აი, ეს ბედნიერი დღეც, სექტემბრის პირველი დადგა! თქვენი ხალისიანი ჟრიამული სიხარულით ავსებს ჩვენს გულს. მართლაცდა, რა შეედრება დღევანდელ დღეს, როდესაც სამი თვის შემდეგ თქვენ—მზემოკიდებულნი, სიცოცხლით სავსენი მოუსხდებით მერხებს და თან მოიტანთ მზის, მინდვრებისა და ზღვის ჯანსაღ სურნელს. გისურვებთ დიდ წარმატებებს სწავლაში, რადგან ცოდნა დიდი ძალაა, ძალიან დიდი ძალაა, ბავშვებო! მე მინდა თქვენ იყოთ ძლიერნი და განათლებით მუდამ გაუმაძღარნი. იყავით სამშობლოს სასიქადულო შვილები. ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მომავალი თქვენა ხართ! გისურვებთ გამარჯვებას!

**დემნა შენგელაია**
მწერალი-აკადემიკოსი.



**გოგოლა მზარელუა**

# წლებით ნათოვლილი მწვანე — ჭირნახული



გეგეჭკორის 1-ლი საშუალო სკოლა

11.301

გეგეჭკორის 1-ლი საშუალო სკოლის 140 წლისთავის გამო

იქ, სადაც პატარა ინჩხია ახალ მთვარესავით გადრკება და ნაოლალევისაკენ გვერდულად გაუხვევს, კუზიან გორაკზე წამომართულა თეთრი მონასტერი.

ნაუ!.. ნაუ!.. ნაუ!.. — ქღრიალებდნენ ზარები მაღალი სამრეკლოს გუმბათიდან, არაბობისა თუ დიდთურქობის სიმძიმეს ფანტავდნენ ლილისფერ სივრცეში და ოდიშ-ლეჩხუმის ყოველი კუნჭულიდან მოაქროლებდნენ ტაიჭებს შუბშემართული მეომარნი...

ჟამსა მშვიდობისას კი კვირაძალის წირვას ელტვოდნენ ჭყონდიდს ცხენით, ფეხით თუ მოჩარდახული ურმებით მოსული ოდიშარნი, შაოსანი მლოცველებით იხუნძლებოდა მარტვილის გორა.

მაგრამ ღვთისმოსაობა როდი იყო მაინც აქ უმთავრესი. VII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ამ იშვიათი ქმნილების გასაოცარი ხელოვნებით თლილ თაღედებში „სამშობლოს სადიდებლად, მტერთა არ გამარჯვებისად“ ღაღადისს აღავლენდნენ და მერე ბინდიდან გამთენიამდის უსხდნენ სანთლის მოლიცლიცე ალს თავდადებული მამულიშვილები, იწერებოდა „წიგნნი საერონი“, „წიგნნი საისტორიონი“, თანაც „წურთვნიდნენ, განანათლებდნენ უმეცარ ყრმათა“...

მარტვილის მღვდელმთავარი ქართველ მეფეთა კარზე ვაზირთუპირველესი ყოფილა ოდითგან, იგი განაგებდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასა და სამწიგნობრო საქმეებს.

სხვადასხვა დროს „დაუდევთ ბინა მონასტერსა მას მარტვილისასა“ ცნობილ მოღვაწეებს იოანე მინჩხსა და გიორგი ათონელს. ეს უკანასკნელი მეფე ბაგრატ მეორეს საბერძნეთიდან საგანგებოდ მოუწვევია და მარტვილის მონასტრის ეპისკოპოსობა უბოძებია...

აქ უმოღვაწია დავით აღმაშენებლის მზრდელსა და მწიგნობართუხუცესს, ბრძენ და განათლებულ გიორგი ჭყონდიდელს, რომელზეც მატიანე წერს: „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი... თანა აღზრდილი აღმზრდელი პატრონისა“... ვარაუდობენ — აქ უნდა ჰყავდეს აღზრდილი მას საქართველოს დიდი მეფე.

„სამეგრელოში მარტვილს ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორიც რომის ქალაქს ფრანგთა შორის დასავლეთის ეკლესიაში“. — წერდა გაზეთი „ივერია“ 1878 წელს.

ადრეფეოდალიზმის ხანაში სამონასტრო ცხოვრება რომ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას უწყობდა ხელს, ეს ცნობილია საისტორიო ლიტერატურაში, სადაც ჭყონდიდს და მარტვილს უძველეს საგანმანათლებლო კერად მოიხსენიებენ.

არც გვიანფეოდალურ ხანაში, არც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაუკარგავს ჭყონდიდს განმანათლებლის მნიშვნელობა და ამდენად ბუნებრივიცაა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სასწავლებლის სწორედ მარტვილის მონასტერთან დაარსება.

ეს 1830 წელს მოხდა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

9 · სექტემბერი · 1970

გამოცემის 44-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ჯანაშია და რგოლის ხელმძღვანელი ელგუჯა გაგუა.

„სამეგრელოს მმართველის თავად ლევან დადიანისა და აწ განსვენებულის, მისი უგანათლებულესობის მიტროპოლიტ ბესარიონის წინადადებით გაიხსნას სამეგრელოში მარტვილის მონასტერთან სასულიერო სასწავლებელი 30 მოწაფისათვის", — გვამცნობს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობის 1830 წლის 2 სექტემბრის № 1291 მოწერილობა.

... და აი, ნაოლალევიდან მონასტრისაკენ მლოცველთა გარდა ამიერიდან პირველმოანბანე ყმაწვილებიც შეუყვნენ აღმართს.

დიდხანს დარჩენილა ეს სასწავლებელი კულტურის ერთადერთ კერად ოდიშ-ლეჩხუმში.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია იგონებდა: „1852 წელს მთავარმა დავით დადიანმა უბრძანა ოდიშ-ლეჩხუმის მდივანბეგებს მოეხსენებინათ მისთვის, თუ რამდენი სასწავლებელი იყო მათდამი რწმუნებულ მაზრებში, რაზეც რვა მდივანბეგიდან შვიდმა მოახსენა, რომ მათს მაზრებში სასწავლებელი არ მოიპოვებოდა. მხოლოდ ერთმა, მარტვილის მდივანბეგმა მოახსენა, რომ მის მაზრაში არსებობდა ერთი, მარტვილის სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც, როგორც მოხსენებიდან ჩანს, სწავლობდნენ სასულიერო 37 და სამოქალაქო 5... მასწავლებლები კი იყვნენ ორნი"...

მხოლოდ უფრო მოგვიანებით, 40-50 წლის შემდგომ დაარსებულა სამეგრელოში სკოლები, რომელთა რიცხვი 1890 წლისათვის უკვე 29 ყოფილა და, რომელშიც მხოლოდ მარტვილის სკოლადამთავრებულნი ასწავლიდნენ.

აქ უსწავლიათ იონა მეუნარგიას, თედო ჟორდანიას, თედო სახოკიას, ნიკო ჯანაშიას, იპოლიტე ვართაგავას... ვინ მოსთვლის... აქ ზიარებიან პირველგანათლებას მწერლები—გიორგი ჭალადიდელი, უიარაღო, კოტოხა წუთისოფელი...

რევოლუციონერების — მიხა ცხაკაიას, საშა გეგეჭკორის, მალაქია დიხამინჯიას, ამბროსი ზურაბაშვილისა და სხვათა ბავშვობის წლებსაც მიითვლის სკოლის მატიანე...

სკოლის არსებობის გრძელ გზაზე სიდუხჭირითა და წინააღმდეგობებით აღსავსე დღეებსაც [illegible] ნე. მატერიალური სივიწროვე, აღსაზრდელთა უკიდურესი სიღარიბე, მოწინავე იდეების მქონე აღმზრდელთა დევნა ხელისუფალთა მიერ, „ურჩთა" მიმართ სასტიკი რეჟიმი და რეპრესიები ყოფილა მუდამ სკოლის თანამგზავრი, და მაინც უანგარო მოღვაწეებს — ზედამხედველ რომანოზ ბორისოვს, ცნობილ პედაგოგებს ივანე ჭიჭინაძეს, ონოფრე შუშანიას და ბევრ მათს მიმდევარს არა და არ ჩაუქრიათ ერთხელ ანთებული ლამპარი.

არ ჩამქრალა იგი მაშინაც, როცა შენობის დაწვის მომიზეზებით მისი ადგილსამყოფელი ხან ქუთაისსა და ხანაც ძველ სენაკს გადაუტანიათ. მარტვილელ მოღვაწეთა დაბეჯითებული მოთხოვნით, დროებით ჩამქრალი კერა კვლავ განახლებულა ძველ ნაფუძვარზე... რაც შეეხება ძველი სენაკის სკოლას, მასაც განუგრძვია საქმიანობა და ამით კიდევ ერთი საშვილიშვილო საქმე გაკეთებულა.

... და ჰყვება დაუსრულებლად სკოლის მატიანე: აქაურ პედაგოგებსა და კურსდამთავრებულებს საკუთარი სახსრებით საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკა დაუარსებიათ მაზრაში და მას დიდი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო როლი შეუსრულებია მარტვილელ ახალგაზრდობაში...

სახეცვლილებანიც ბევრგზის განუცდია სკოლას წელთა სრბოლაში. სასულიერო სასწავლებელი ხან სამაზრო სასწავლებლად გადაკეთებულა, ხანაც — სამინისტროს სკოლად; ერთხანად, სამრევლო სკოლისა თუ გიმნაზიის სახელებითაც მონათლულა, შრომის სკოლისა და ჰუმანიტარული ტექნიკუმის ტიტულებიც მიუღია, ვიდრე ბოლოს გეგეჭკორის 1-ლ საშუალო სკოლად არ იქცეოდა.

•

დადიხართ ახლა მის ნათელ დერეფნებში. შემოგანათებთ მრავალი თვალი, თვალები ნაოლალეველთა შთამომავლებისა, რომელთა წინაპარნიც ქართულ ანბანს მთვარის შუქზე აყოლებდნენ თითს მონასტრის გვერდით მიყუჟულ ფიცრულში...

მაგრამ განა მარტო ნაოლალეველთა შთამომავლებს ნახავთ აქ!

როცა მტრედისფერი ალიონი მარტვილის კამარას გადაევლება და მზით შეღებავს პატარა დაბას, მწვა-

ნეში ჩამჯდარი ორსართულიანი შენობისაკენ მხარდამხარ მოაბიჯებენ ირა დანელია და ნათელა ტრუბჩიკი, ვალერი კუზნეცოვი და პეტრე უმანსკი. ვლადიმერ ვლასენკო და ვალერი შევჩენკო, ბერძენი ძმები — არისტოტელ და პავლე ტამბულიდები, მოლდაველები, სომხები, აზერბაიჯანელები...

თორმეტი ეროვნების შვილები სწავლობენ ამჟამად დიდი ტრადიციების ამ უძველეს სკოლაში.

●

საზეიმო განწყობილებაა ირგვლივ. ზეიმია, ნამდვილი ზეიმი. გულთბილად ეგებებიან თავიანთ მოსწავლეზეიმზე მოსულან ლენინის ორდენოსანი პენსიონერი მასწავლებელი სოლომონ ქუთათელაძე, სამამულო ომის მონაწილე, იტალიის პარტიზანულ მოძრაობაში აქტიური საქმიანობისათვის „ირანდინო იტალიანოდ“ (იტალიის მერცხლად) წოდებული ვლადიმერ გაბისონია, სოციალისტური შრომის გმირი ელენე ოდიშარია...

გია წივწივაძეს — IX-კლასელ წარჩინებულ მოსწავლეს, ლამაზი ასომთავრულით დამშვენებული ხელნაწერი ბუკლეტი უპყრია ხელთ. მასშია თავმოყრილი საძიებო სამუშაოთა შედეგები — თამაკონის XI საუკუნის ბაზილიკის, ჯეგემარიონის, ბრინჯაოს ეპოქის სამაროვანთა თუ „საუნჯეს“ დაამშვენებს მახვილგონივრული თქმები, გამოცანები, ანდაზები, რაც ხალხში შეაგროვეს მასწავლებელმა და მოსწავლეებმა.

ჯამბულ ოდიშარიამ, ანზორ ლაგვილავამ, რევაზ გალდავამ, ციური კვანტალიანმა და სხვებმა არქეოლოგიური დაზვერვებიც მოახდინეს ჭვენია-ფერდობსა და ალენია-გაზე. იქ მოპოვებული ბიზანტიური ომფორები, ისრის ბუნიკები, ქვისა და ბრინჯაოს იარაღები ძღვნად მიართვეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

თვით ამ მუზეუმის დაარსებაც პირველსკოლელთა სახელთან არის დაკავშირებული... ეს იყო ამ ცამეტიოდე წლის წინათ. პირველ სკოლაში ისტორიას მაშინ გივი ელიავა



დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი მ. ქობალია პირველ სკოლელებს აცნობს ჩაის ფოთლის ხარისხიანობას

ებს ამ სკოლისავე აღზრდილნი — ამჟამად მისი დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ვარლამ ხაჟომია, სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ახალგაზრდა პედაგოგი ლამარა ჩხეტია, სასწავლო ნაწილის გამგე, ხანდაზმული შალვა გაბისონია... აქ არიან სხვებიც — ლიდა თაფლაძე, ნუნუ რუხაია, ლეილა ჯიქია, ლეილა ციცხვაია... 50 პედაგოგიდან 40-ზე მეტი ამ სკოლისავე აღზრდილია და მათ ერთიორად ემაყებათ ეს დღე...

სერგიეთის ციხე-ქალაქის ნანგრევთა შესწავლის შედეგად დაგროვილი მასალები.

ისტორიის მასწავლებელ ლეილა ჯიქიასთან ერთად შემოიარეს გიამ და მისმა მეგობრებმა ასხის მღვიმეთა შემოგარენი, წაჩხურუს, კიწიის, ბალდის გამოქვაბულები, „საჭყონდიდო მამულებსა“ და ხირზენის, გოკირილის „ნათურქუ“ ჯიხებთან ათიეს ღამე, შეკრიბეს ფოლკლორული, ეთნოგრაფიულ-ტოპონიმიკური მასალებიც. მალე ხელნაწერ ჟურნალ — მუზეუმის ამჟამინდელი დირექტორი ასწავლიდა და, როცა მის მიერ შექმნილი ეთნოგრაფიული წრის წევრების ნაპოვნი ნივთები სკოლის კედლებმა ვეღარ დაიტიეს, ამ მეცნიერულ-ისტორიული დაწესებულების შექმნასაც დასაბამი მიეცა.

შემდგომაც არ შეწყვეტილა სკოლისა და მუზეუმის ურთიერთკავშირი. ყოველ ახალ ნაპოვნს მოსწავლეები მუზეუმში მიუჩენენ ხოლმე ბინას, შველიან მუზეუმის მუშაკებს შეგროვილ მასალათა მეცნიერული

პასპორტებისა და კატალოგების შედგენაში. ყოველი ახალი თემის დამუშავებისას მუზეუმის ფონდებს მიადგებიან. მალე ამ ფონდებში დაიდებენ ბინას გია წივწივაძის ნამუშევარი „მარტვილის მონასტრის აგების ზოგიერთი საკითხისათვის“, ანზორ ლაგვილავას — „საშა გეგეჭკორი“, მერაბ გეგელიას — „ჩიქვანების საყდარი“, იური ბოჩკარიოვის — „გეგეჭკორი ჩემი მეორე სამშობლოა“, რომელთაც მეცნიერულ-შემეცნებითი ხასიათი აქვთ.

ვესტიბიულში კი საპატიო ადგილებზე დამკვიდრებულა სკოლის სახელოსნოს „პირმშოები“ — ეროვნულ მოტივებზე შესრულებული ჩუქურთმებიანი დედაბოძები, მინიატურული სკივრები, ვაზის ჩუქურთმიანი ყანწები, მრავალი კერამიკული ნაკეთობა... მათი ავტორები წარჩინებული მოსწავლეები არიან. აი ისინიც: მეექვსეკლასელები — მამუკა ბახია, პავლე რუხაია, მეშვიდეკლასელები — ქეთევან ჯანაშია, რევაზ კვესელავა, მერვეკლასელები — სერგო ფავრიზოვი, პაატა კირთაძე და სხვები. სკოლის იუბილეს მიუძღვნეს მათ თავიანთი მოკრძალებული ნამუშევრები.

არც მარტვილის გორა და მონასტრის შემოგარენი დავიწყებიათ საიუბილეო დღეებში. მოსწავლეებმა შარშან და წლეულს დარგეს ასობით ძირი ოჯალეშისა და სხვა ჯიშის ვაზი, მსხლის, ატმის, ქლიავისა თუ ჯიშიანი ვაშლების ნერგები. სატყეო მეურნეობაში მათ მიერ გამომუშავებული მოზრდილი თანხა ვიეტნამელ და კორეელ მოსწავლეებს გადაეგზავნა.

სად არ შეხვდებით პირველსკოლელთა საწარმოო ბრიგადებს. მათ ნახავთ ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის სიმინდის ყანებშიც და დიდი ჭყონის ჩაის პლანტაციებშიც, საკონსერვო ქარხნისა და ჩაის ფაბრიკების აგრეგატებთან... მოსწავლე ლუიზა დანგაძემ ორ უკანასკნელ სეზონში 7 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც ლენინის საიუბილეო მედლით დაჯილდოვდა. მერე კი, როცა მასწავლებელმა ლეილა ციცხვაიამ უფროსკლასელ მოსწავლეთაგან შექმნა კლუბი „საინტერესო ამბების სამყაროში“, ლუიზამაც დაამუშავა საინტერესო თემა და თავის თანატოლებთან ერთად „დაუსწრებლად იმოგზაურა“ მსოფლიოს გარშემო. იუბილესვე მიეძღვნა მათ მიერ მოწყობილი „ინტერნაციონალური საღამო“, „პოეზიის დღე“ და სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია.

სხვა სიახლეც არის იუბილარ სკოლაში. „ანგარიშს გაბარებთ, სკოლავ მშობლიურო“, — დაურქმევიათ ალბომისათვის, რომელშიც „პირადი ანგარიშით“ წარსდგებიან ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბნებზე დასაქმებული კურსდამთავრებულნი. გამოჩენილან კიდეც „პირველი მერცხლები“ — პირველი ლამაზი ჩანაწერები. ამაგდარ სკოლას ერთ-ერთი პირველნი უპატაკებენ ოქროს მედლით კურსდამთავრებული, კომკავშირის გეგეჭკორის რაიკომის მეორე მდივანი ნანი ჩიქოვანი, ლენინის ორდენოსანი მეჩაიე ლიანა გალდავა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მზია წოწორია... კურსდამთავრებულთა პატაკი გრძელდება.

გრძელდება სკოლის საიუბილეო ვახტიც, რომელიც ჯერ კიდევ იანვარ-თებერვალში საბჭოთა კავშირის გმირის მიხეილ გახოკიძისადმი მიძღვნილი პიონერული შეკრებით დაიწყო. სახელოვანი თანასკოლელის ხსოვნის უკვდავსაყოფად მოსწავლეებმა მოაწყვეს სტენდი, სადაც თავმოყრილია გმირის პირადი ნივთები, სკოლაში შემორჩენილი წერილობითი მასალები მასზე, ყოფილ მასწავლებელთა მოგონებები...

„მრავალჟამიერ, მრავალ ასორმოცს, მშობლიურო სკოლავ!“ — გულთბილ მოლოცვებს უგზავნიან საყვარელ სკოლას მწერალი სერგი ჭილაია, მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ოთარ გაბისონია, იოსებ ჯანჯღავა, სერგო თოფურია, პროფესორი სერგი ჯიქია, აკადემიკოსები გიორგი ჯიბლაძე, ავლიპ ზურაბაშვილი...

დვაწლმოსილი იუბილარი სკოლა კვლავაც ბევრ სახელოვან მამულიშვილს აღუზრდის ჩვენს სამშობლოს!

ფოტო გ. ჯაყელისა.



# ერთი მოწაფის და ექვსი ერთიანის ამბავი

**ს. მარშაკი**

ერთმა მოწაფემ სკოლიდან
შინ დაბრუნების უმალ
დღიური ყუთში ჩაკეტა...
ტახტზე წამოწვა ჩუმად.

— სად არის შენი დღიური?
ღიმილით ჰკითხა დედამ, —
წიგნებს რომ ახლდა ნიადაგ,
ახლა სად გაქრა ნეტავ?

რა უნდა ექნა!.. აჩვენა.
დადგა განკითხვის წუთი.
დაღონდა დედა, რა ნახა
წარწერა — „ძალზე ცუდი“.

მამამ გაიგო თუ არა,
სიტყვა არ დაახანა:
— მე შენგან ამას ველოდი?
შენ მართლაც სალახანა!

ერთიანით გსურს ცხოვრების
ლელო რომ გაიტანო?
— ეს ერთიანი მივიღე
ერთი შეცდომის გამო:

ბუნებისმეტყველებაში
ბედი არ მწყალობს, მამი, —
ფრინველად დავასახელე
შეცდომით ბაობაბი...

დედამ დასძინა: — ამისთვის,
ბიჭო, გეკუთვნის ნული!
— ჩვენთან ასეთი ნიშანი
არ არის მიღებული...

წარბი შეიკრა დაიკომ
და ძმას შესძახა ასე:
— ეს ერთი... მაგრამ მეორე?
ნეტავ მიიღე რაზე?

— ამაში, გითხრათ მართალი,
იმას დაუდგეს თვალი, —
ვიღაც, სულ უცნობ კენგურუს
მიუძღვის ცოდვა-ბრალი.

რვეულში მე ის ჩავწერე,
რაც მომივიდა თავში —
თითქოს კენგურუს სთესავენ
და ხარობს ბოსტნის კვალში.

მამა განრისხდა: — მესამე?
თქვი შენი ოქროს ენით.
— ჰიპოტენუზა მეგონა
ერთი მდინარე ჩვენი.

ეს მეოთხე კი... ვიფიქრეთ,
თავი ვიმტვრიეთ ბევრი,
და ბოლოს მე და ზალიკომ
ზებრას ვუწოდეთ მწერი.

— მეხუთე?.. — დედა მშობელი
ჰკითხავს ვაჟს ცრემლმორეულს,
და ცხვირწინ გადაუფურცლავს
მიკეც-მოკეცილ რვეულს.

— ამოცანას რომ ვიყვანდი,
მთელ საათს ვეწამე და...
მივიღე: ორი დურგალი
და ორი მესამედი.

— მეექვსე?.. ესეც გვითხარი,
თუმც რა გვიშველოს ამან, —
და თვალი დაუბრიალა
განრისხებულმა მამამ.

— მკითხეს: გვიჩვენე რუკაზე,
აბა, პანამის ყელი! —
ვეძებე, მაგრამ ამაოდ...
და ჩამოვუშვი ხელი.

ამოიგმინა დედამ და
დარდი მოაწვა მძიმე:
— ამ წამხდარ დღიურიანად
გასწი და დაიძინე!

●

წაბანცალდა ზანტი ბიჭი...
დაიძინებს ახლა ნეტავ?
მალე ხვრინვას ამოუშვებს
და ამნაირ სიზმარს ხედავს:

აგერ, ბუჩქში ზებრა ბზუის,
ჭქრის ივლისის ცხელი ქარი...
კენგურუ კი ტურფად ჰყვავის
უშველებელ კუდზე მდგარი.

ტროპიკული ტყის ჭაობში
ბაობაბი ფრინავს ლაღად,
გველებსა და გომბეშოებს
უმოწყალოდ ნთქავს და ყლაპავს.

იქვე ახლოს, ერთ ბილიკზე,
სადაც მხოლოდ ბინდი მეფობს,
ხედავს ვაჟკაცს მხარბეჭიანს,
მაგრამ სულმთლად უთავფეხოს.

და ამ სურათს უცქერს ყველა
ცრემლითა და მწარე სევდით:
— ვინ მოაჭრა ნეტავ ასეთ
ვაჟკაცს ტანის მესამედი?

— სად წამივა ის ყაჩაღი!..
ვინ გაბედა... როგორ მოხდა! —
დაიგრგვინა ბეჰემოთმა
და ლურჯ ტბიდან ამობობღდა.

აქ კენგურუ გაწიწმატდა:
— მივწეწ-მოვწეწე როგორც ბამბას!
— ჩემს კლანჭებს ვერ გადაურჩეს! —
ასე ბრძანა ბაობაბმაც.

●

ფიცხლად წამოხტა ზანტი ყმაწვილი.
ჟამი დგებოდა ცისკრის...
იქვე სკამზე კი იდო დღიური,
იდო და... სწუხდა ისიც.

თარგმნა არნო ონელმა.



ნოდარ
შამანაძე

# ბიჭები კიბეზე ქლიოლსეს

მხატვარი
ზურაბ
ფორჩხიძე



მ ო თ ხ რ ო ბ ა

VI

ძროხები საძოვარზე რომ გაიყვანა, ძმადნაფიცები უკვე იქ იყვნენ და ნახირს მწყემსავდნენ.

— ფანტომასს გაუმარჯოს! — შეძახეს ერთხმად.

— არვარგა! — ხელი ჩაიქნია ქუჩიკომ.

— გაუმარჯოოოს! — გაიმეორეს უფრო რიხიანად.

— კარგია! — თქვა ჯანგირამ და მერე ნაღვლიანად დაუმატა, — ფანტომასი აღარ გამაგონოთ, თუ ჩემი ძმობა გინდათო. რატომო, გაიკვირვეს ბიჭებმა. ჯანგირამ თებროლიას გასაჭირი უამბო. ყველანი დაღონდნენ. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— დედამ თქვა, ელპიტე მოარჩენსო... — დაარღვია დუმილი ჯანგირამ.

— რომ ვერ მოარჩინოს? — დაეჭვდა სოსო.

— ელპიტე ვერ მოარჩენს, — თავი გაიქნია ქუჩიკომ. — პეტრე მასწავლებელმა ხომ გვითხრა, ექიმბაშების დრო კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდაო.

— ექიმია საჭირო! — წარმოთქვა ბუხუტიმ დაფიქრებით.

— ძროხებს მიმიხედეთ და მე მოვიყვან ექიმს! — თქვა დარწმუნებით ჯანგირამ. მერე ბიჭებს სათითაოდ გადახედ-გადმოხედა და ნამდვილი მეთაურის კილოთი იკითხა:

— ჩემთან ვინ წამოვა?

— მე!

— მე!

— მე! — ერთხმად შესძახა სამივემ.

— შენ წამოდი. — მხარზე ხელი დაადო ქუჩიკოს.

— რატომ ქუჩიკო წამოვიდეს და არა მე? — იწყინა სოსომ.

— ასე როგორ იქნება! — გაბრაზდა ჯანგირა. — ეოთმანეთს თუ კრიჭაში ჩავუდექით, რაღა ძმადნაფიცობა გამოგვივა?

— თუ ძმადნაფიცები ვართ, გარჩევა და ამორჩევაც არ უნდა იყოს! — გაწყრა ბუხუტიც.

— მერე და ვინ გითხრა, ქუჩიკო ამოირჩიაო? ისე წამომცდა ჩემდაუნებურად, — მოუბოდიშა ჯანგირამ და იქვე დაუმატა: — კენჭი ვყაროთ, ეს სჯობია ყველაფერს!

კენჭი ჯანგირასა და ბუხუტის შეხვდა. ჰოდა, მიდიან ახლა. მიდიან კი არა, მირბიან: ვინ წინა და ვინ უკან! სოფელს კარგა მანძილით რომ გასცდნენ, ჯანგირა უცებ შეჩერდა:

— საგზალი რომ დაგვავიწყდა?

— უი, მართლა! — ახლა გაახსენდა ბუხუტისაც.

— ამხელა გზა გამოვიარეთ და როგორღა დავბრუნდეთ? — დანანებით თქვა ჯანგირამ.

— წავიდეთ, წავიდეთ! — წინ გაიჭრა ბუხუტი, — ოღონდ ექიმი წამოგვყვებოდეს და თუგინდ ხვალაც მშიერი ვიქნები!

ჯანგირამ ჩაიღიმა: თითქოს გულში უჯდაო, ბუხუტიმ მისი სათქმელი თქვა.

ვაშლოვანი ათიოდე კილომეტრით იყო რაიონულ ცენტრს დაშორებული. ბიჭებმა ეს მანძილი სწრაფად გაიარეს და მთავარ ქუჩას ქოშინით შეჰყვნენ.

— ექიმს ვერ მიგვასწავლით? — ჰკითხა ჯანგირამ ოციოდე წლის ჭაბუკს, რომელიც ონკანთან იდგა და ვედროს წყლით ავსებდა.

— ექიმს? — გაიმეორა ჭაბუკმა. — ექიმი რად გინდათ?

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 8.



— თებროლია ბებიას ფეხი სტკივა და... — აღარ დაამთავრა ჯანგირამ.
— მერე და ვინ გამოგზავნათ?
— არავინ. ჩვენი ჭკუით წამოვედით. — უპასუხა ბუხუტიმ.
— დედამ თქვა, თებროლია ბებიას ელპიტე მოურჩენს ფეხსაო. ჩვენ ვიფიქრეთ, ვაითუ ვერ მოურჩინოსო და გამოვიპარეთ. — აღიარა ჯანგირამ.
— ელპიტეს ოქროს ხელი აქვს, მაგრამ მაინც ექიმი სჯობია, დიპლომიანი, რაც არ უნდა იყოს! — თქვა ჭაბუკმა სერიოზული კილოთი და თვალები ეშმაკურად აუთამაშდა. — თქვენ ისეთი კაი ბიჭები ჩანხართ, ექიმს მიგასწავლით კი არა, ზედ მიგაყენებთ კარებზე!
„ელპიტეს საიდან იცნობს, ნეტა?“ — გაიფიქრა ჯანგირამ.
— მომყევით, — თქვა ჭაბუკმა და გალიცლიცებული ვედრო ფრთხილად აიღო. ბიჭები ფეხებში მიჰყვნენ. შეღმართი რომ აათავეს, ერთ ვიწრო ქუჩისკენ შეუხვიეს.
— გოგია, პაციენტები მოგიყვანე! — შესძახა უეცრად ჭაბუკმა და ფეხს აუჩქარა. ბიჭებმა ახლაღა შეამჩნიეს თეთრხალათიანი ახალგაზრდა, კოხტად შეფეთქილი ჯიხურის წინ რომ იჯდა ძელსკამზე და ქვემოთ იყურებოდა.
ჭაბუკი ორ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, ვედრო ძირს დადგა, მერე გოგიას თვალი ჩაუკრა და ბიჭებს გადმოხედა:
— ექიმი უნდათ და, თუ კაცი ხარ, ნუ აწყენინებ, კაი ბალღები ჩანან!
— რას ამბობ, წყენინება რას მიქვია! რისი მოხელე ვარ, ხალხს თუ არ გამოვადექი? — უპასუხა გოგიამ და წამოდგა, ბიჭებს მიუახლოვდა:
— ვინა გყავთ ავად?
— ბებია, — დაასწრო ჭაბუკმა ბიჭებს, — ფეხი სტკივაო.
— საწყალი ბებია! — სახე მოჭმუხნა გოგიამ. — რაფერ იტკინა ფეხი საცოდავმა?
— ჭიშკარი ჩამოუგდო ვიღაცამ... — დაიწყო ჯანგირამ, — მერე თებროლია ბებიას იმ ჭიშკრის ჩამოკიდება უნდოდა და ფეხზე დაეცა.
— ჭიშკარი დაეცა?! — წამოიძახა გოგიამ. — თქვე კუდიანებო, თქვენ ხომ არ ჩამოუგდეთ, ჰა?
ბიჭებს ფერფურმა გადაუარა და დარცხვენილად შეიშმუშნენ.
— თქვით, თქვით, ნუ მალავთ! თქვენ ჩამოუგდეთ ჭიშკარი, ხომ? — ჩაეძია გოგია.
— შენ, ძმაო ექიმობის გარდა გამომძიებლობაც ხომ არ დაიწყე? — გაუცინა ჭაბუკმა გოგიას და ვედრო აიღო. — ლაილაის დრო გაქვს? მიხედე საქმეს!
— იმ ქალს მართლა რომ უჭირდეს, — თქვა გოგიამ, — ხომ ექიმისთვის კაცს გამოგზავნიდნენ?
— ალბათ კაცი კაცთან გაგზავნეს, შენთან კი ესენი გამოგზავნეს! — ბიჭებზე თვალით ანიშნა ჭაბუკმა და წავიდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, მოიხედა და გოგიას ღიმილით უთხრა: — ყმას რომ ტვირთის აკიდება მოუნდება, ბატონის კარებზე გაივლისო, ხომ გაგიგონია?
— როგორ არა!
— ჰოდა, თუ გაგიგონია, შენ იცი და შენმა მარიფათმა! — უთხრა ჭაბუკმა და ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა.
ბიჭები ამ ქარაგმულ საუბარს თითქოს არც უსმენდნენ, გასაყიდი ცხვრებივით მორჩილად იდგნენ და თვალებს დაბნეულად აცეცებდნენ. გოგია მივიდა მათთან, ჯერ ჯანგირას გადაუსვა თავზე ხელი, მერე ბუხუტის. რად გინდათ ამხელა ქოჩორი, მღვდლობას ხომ არ აპირებთო, გაუცინა. მაგრამ სულ მალე სერიოზული სახე მიიღო და ჰკითხა, თქვენს სოფელს დალაქი არა ჰყავსო? არაო, უპასუხა ჯანგირამ. თითქოს ამ ამბავმა გაახარაო, გოგიას ცალი წარბი აუთამაშდა და თვალებში ღიმილი ჩაუდგა.
— ესე იგი თქვენ ექიმი გინდათ არა? — ამოილაპარაკა გვიან-გვიან და პასუხს არ დაელოდა, ისე განაგრძო: — ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირიო. ჯერ ერთი პატარა საქმე უნდა გამიკეთოთ და მერე თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. გამიკეთებთ?
— თუკი შევძლებთ... — უპასუხა ჯანგირამ.
— შეუძლებელს დაგავალებთ, თქვე კაი კაცებო? — გაიკრიჭა გოგია, მერე ჯიხურის კარი დაკეტა და ბიჭებს უთხრა, წავიდეთო.
ის ვიწრო ქუჩა რომ აიარეს, მოსახვევში უწესრიგოდ დაყრილი აგურის გორა გამოჩნდა — გოგიამ ბიჭებს გადახედა და თითქოს თანატოლებს ესაუბრებაო, დიდის ამბით წამოიწყო: — რაღაც ეშმაკად სახლის აშენებას შევუდექი. ბევრი რამ სდომებია ამ დალოცვილს. ჯერ საშენი მასალის შოვნა მიჭირს და მერე მუშახელისა... ავერ,

ეს აგური ბარე ორი კვირაა ქუჩაში ყრია და ქრისტიანი კაცი ვერ ვნახე, რომ აიღოს და ეზოში შეიტანოს.

ბიჭები დუმდნენ. გოგია ერთხანს გაჩუმდა, მერე ისევ განაგრძო:

— ახლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ: ეს საქმე მომაგულისჭირებინეთ და ავადმყოფს დღესვე წამოგიფრენთ ფეხზე!

— ოღონდ თებროლია ბებია მოგვირჩინეთ და თუგინდ ათ ამდენ აგურს მოგიზიდავთ ეზოში. — საქმე სრულიად გააიოლა ბუხუტიმ. ჯანგირამ კი აგურის გორას დაკვირვებით შეავლო თვალი და უფრო გონივრული წინადადება წამოაყენა: ჯერ სოფელში წამობრძანდით, თებროლია ბებიას უწამლეთ, მერე წამოვალთ, თანაც კიდევ ორ ამხანაგს წამოვიყვანთ და ამის გარდა სხვა სამუშაოებსაც შევასრულებთო. ეგ როგორ იქნებაო, წარბი შეკრა გოგიამ, მე აქ ავადმყოფებს ველოდები და კაბინეტს როგორ დავკეტავ, რას იტყვის ხალხი? სანამ აგურებს შეიტანთ, მანამ კიდეც გავთავისუფლდებიო.

გოგიამ ეზოში ადგილი აჩვენა, სადაც აგურები უნდა დაეწყოთ. თანაც გააფრთხილა, ნელა მოიტანეთ, ერთი არ ვნახო გატეხილიო.

— კაი კაცია, ხო, დოცენტ? — გადაულაპარაკა ბუხუტიმ ჯანგირას, როცა გოგია ქუჩას თავქვე დაუყვა.

ჯანგირამ აგურები მკლავზე დაილაგა და როდის-როდის უპასუხა:

— კაი კაცი მაშინ იქნება, თებროლია ბებიას ფეხზე თუ მალე წამოაყენებს.

— წამოაყენებს, აბა არა! ხომ თქვა, მოვარჩენო. ტყუილს იტყვის? კაცი გულთმისანი ყოფილა, — გაიცინა ბუხუტიმ. — ჭიშკარი თქვენ ხომ არ ჩამოაგდეთო? როგორ მიხვდა, ჰა?

ჯანგირას ჭიშკრის გახსენება არ ეჭაშნიკა და ძმაკაცს სიტყვა ბანზე აუგდო: დავუჩქაროთ, თორემ ამ „მთას" დღეს ვერ გადავიტანთო.

დაუჩქარეს და, მერე როგორ! სულის ერთი შებერვით მოინდომეს საქმის მომთავრება... მაგრამ სულ მალე ოფლად გაიღვარნენ, თანაც მოშივდათ, მუხლები მოეკვეთათ და სირბილს თანდათან უკლეს.

— ვაჰ, ტყემალი! — წამოიძახა უეცრად ბუხუტიმ და ეზოს განაპირა კუთხისაკენ გაიქცა.

— მოიცა! — შეაჩერა ჯანგირამ, — ექიმი გაგვიბრაზდება, — ტყემალი გამოკრიფეთ და თქვენ როგორ წაგყვებით ავადმყოფთანო?

— აბა, რა ვქნა, მშია და!

— ტყემალი ტყუილად პირს აგვიმჟავებს, შიმშილს მაინც ვერ მოგვიკლავს. — უთხრა ჯანგირამ და აგურების მოსატანად შებრუნდა, თანაც ცალი თვალი უკან რჩებოდა, ძმადნაფიცი მომყვება თუ არაო. ბუხუტი ერთხანს კიდევ იდგა და მერე ზოზინით გაჰყვა.

აგურის „მთა" რაც უფრო პატარავდებოდა და „გორაკდებოდა", ბიჭებს მით უფრო უჭირდათ და გული მოუთმენლობისაგან ელეოდათ. ჭამაზე ლაპარაკი აკრძალეს, მაგრამ ბუხუტიმ მაინც ვერ შეიკავა თავი, აგური თვალწინ დაუტრიალა მეგობარს და ჰკითხა:

— რასა ჰგავს?

— აგურს. — არც შეუხედავს, ისე მიუგო ჯანგირამ.

— მართლა გეკითხები, რასა ჰგავს? — არ ეშვებოდა ბუხუტი.

— ლალს. — ახლა უკვე სერიოზულად უპასუხა ჯანგირამ.

— აგური ლალს შეუდარეს, აქაოდა წითელიაო, — გაიცინა ბუხუტიმ. — რასა ჰგავს და, „ბუხანკა" პურს, კარგად გამომცხვარსა და გამოხვრიკინებულს.

ჯანგირამ ტუჩები გააწკლაპუნა, ნერწყვი გადაყლაპა და თითქოს იქვე სხვა აგური არ ყოფილიყოს, ბუხუტის „ბუხანკა" პური" ჩამოართვა, ხელში გადააბრუნ-გადმოაბრუნა და დარწმუნებით თქვა:

— მართლა ჰგავს ხო იცი!

— რამდენს შეჭამ ასეთს? — გაიღრიჭა ბუხუტი.

ჯანგირამ აგურის „გორაკზე" ხელით წრე შემოხაზა: მთლიანად შევჭამ, ისე ვარ ახლა გამგელებულიო. ორთავეს გაეცინა.

ორიოდე გზობა მუნჯად მიდი-მოდიოდნენ, შემდეგ ისევ ბუხუტიმ წამოიწყო:

— ნეტა სოსო და ქუჩიკო რას შვრებიან ახლა?

— თამაშობენ ალბათ. — მიუგო ჯანგირამ.

— ძროხები შინ ეყოლებათ უკვე!

ჯანგირამ მზეს ახედა:

— მოშუადღევებულა, შინ ეყოლებათ, აბა რა!

— იქნებ სხედან ახლა სუფრასთან და ილუკმებიან გემრიელად!

ჯანგირამ ტუჩებზე ენა მიისვ-მოისვა და გამოჯავრებით უთხრა:

— შაქრად შეერგოთ, თუ ილუკმებიან!

— მათ კი შეერგებათ, მაგრამ ჩვენ?! — უგუნებოდ გაიცინა ბუხუტიმ და აგურებზე დაჯდა: — მე უკვე მეტი აღარ შემიძლია!

ჯანგირამ პასუხად განაკაწრი თითი უჩვენა. ბუხუტი მიხვდა, ძმადნაფიცობაზე მანიშნებსო და წაიჭუჭყუნა: ისე მშია, მუხლები ბაჭუას გარმონივით მეკეცებაო...

— მარტო შენა გშია?! — შემოუძახა ჯანგირამ. — სულ საჭმლები გადგას ენაზე და მუხლები მიტომ გეკეცება. ხომ ვთქვით, საჭმელზე აღარ ვილაპარაკოთ-თქო.

— აბა რაზე ვილაპარაკოთ? — წამოდგა ბუხუტი.

— რაზე? — ჩაფიქრდა ჯანგირა, — მაგალითად, არსენა ოძელაშვილზე...

ბუხუტი მივიდა, სამი აგური ამოიღლიავა და ჯანგირას მიუბრუნდა:

— არსენა რომ ფანტომასს შეხვედროდა, რას იზამდა ნეტა?

— ღონით არსენა აჯობებდა, ეშმაკობით — ფანტომასი. — მიუგო ჯანგირამ და გულზე ახუტებული აგურებით ეზოსაკენ გაიბიჯა. ძმადნაფიციც მიჰყვა.

...ხუთიოდე აგურიღა რომ დარჩათ მისატანი, ჯანგირა ქვაზე დაჯდა და ბუხუტის უთხრა: ეს შენი წილია, მე ჩემი სამუშაო უკვე შევასრულეო. ბუხუტი მივიდა და განაკაწრი თითი ცხვირწინ დაუტრიალა. ჯანგირას გაეცინა და მყისვე ზეზე წამოდგა.

გოგიამ წასვლისას ბიჭებს უთხრა, სანამ ამ აგურებს გადაზიდავთ, მეც დავბრუნდებიო. აგურები გადაზიდეს, მაგრამ „ექიმი“ არ გამოჩნდა. ცოტახანს დაელოდნენ, მერე კი დაჰკრეს ფეხი და ქუჩას თავქვე დაუყვნენ. ჯიხურთან რომ მივიდნენ, შეჩერდნენ. ქუჩაში თითო-ოროლა კაცი მიმოდიოდა. ბუხუტიმ მიიხედ-მოიხედა, რომ დარწმუნდა, არავინ მიყურებსო, ჯიხურთან მივიდა, ღრიჭოდ



დატოვებულ კარში შეიჭყიტა და ელდანაცემი შემოტრიალდა:

— გოგია ექიმი კი არა, დალაქი ყოფილა!

— ნუ სულელობ! — შემოუძახა ჯანგირამ და ჯიხურთან მივარდა, ცხვირი კარს მიაბჯინა. მოვუტყუებივართო, — ჩაილაპარაკა და ბუხუტის ნაღვლიანი თვალით გადახედა, მერე კარი გააღო და ჯიხურში შეაბიჯა. ბუხუტიც მიჰყვა. გოგია ვიღაც კისერმორგვა კაცს პირს პარსავდა, თანაც მხიარულად ღიღინებდა. ბიჭების დანახვა არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია და დაუპატიჟებელ სტუმრებს ისე მიეგება, კისერმორგვა მთელი ტანით შემობრუნდა კარისკენ: ჩემზე პატივსაცემი ვინმე ხომ არავინ ეწვიაო. გოგიამ ბიჭებს სკამებზე მიუთითა, დაბრძანდითო, მერე კისერმორგვას გაქაფულ სახეს სამართებელი ჩამოუსვა, თანაც ჩაულაპარაკა, ეს ვაჟკაცები ვაშლოვანიდან არიანო.

ბიჭები იდგნენ და დალაქს წარბშეკრულნი შეჰყურებდნენ. დალაქმა ბიჭებს კიდევ სთხოვა, დაბრძანდითო.

— რატომ მოგვატყუე! — შეჰყვირა უეცრად ჯანგირამ და ცრემლი წასკდა.

— რა გატირებს, შე კაცო, ახლავე გაგკრეჭ და გაგალამაზებ! — გაუცინა გოგიამ ჯანგირას და ქაფში ჩამალული სამართებელი ქაღალდს შეაწმინდა. გაოცებულმა კისერმორგვამ ბიჭებს გადახედა.

— ბებია ჰყავთ ავად, ფეხი მოუტეხია საწყალს. ეჩქარებათ შინ მისვლა და რა ჰქნან! — უთხრა გოგიამ კისერმორგვას.

— მერე და მაგისთვის ტირის ამხელა ვაჟკაცი? — გაიკვირვა კისერმორგვამ და ჯანგირას გაუღიმა: — მალე გაგკრეჭს, ნუ ტირი, ბიძია!

ჯანგირას კიდევ უნდოდა ეყვირა, რად მოგვატყუეო, მაგრამ ისე გულამომჯდარი ტიროდა, ენის მოტრიალებას ვეღარ ახერხებდა. ისევ ბუხუტიმ უშველა, კისერმორგვას მწყრალად უპასუხა, გაკრეჭა არ გვინდა ჩვენაო. მერე ნაბიჯი წინ წადგა და გოგიას ცრემლიანი ხმით შეუყვირა, რად მოგვატყუეო. ახლა უკვე ბუხუტიც ტიროდა...

კარი გაიღო და ჯიხურში ჩალისქუდიანი კაცი შემობრახუნდა. ეს რა ქრისტეს ტირილი დაგიყენებიაო, — უსაყვედურა გოგიას, მერე ბიჭებთან მივიდა, ჯერ ერთს გადაუსვა თავზე ხელი, მერე მეორეს და ტირილის მიზეზი ჰკითხა:

— მოგვატყუა! — ამოასლოკინა ბუხუტიმ და გოგიასკენ ცრემლიანი თვალით გაიხედა. ამასობაში კისერმორგვაც გაიპარსა. წამოდგა და ჯანგირას ხელი მოჰკიდა, დაჯექი, ბიძია, ერთ წუთში გაგალამაზებსო.

— ჩვენ გაკრეჭა არ გვინდა... — ძლივსძლივობით ამოთქვა ჯანგირამ.

— აბა, რა გინდათ, რატომ ტირით? — ჩაეძია კისერმორგვა.

— რა უნდათ და, გალახვა უნდათ! — შეჰყვირა გოგიამ და ბიჭებს ტირილის მიზეზის გამხელა აღარ აცალა,

ეცა ჯანგირას, — გარეთ გაგდება დაუპირა, მაგრამ ჯანგირამ იმარჯვა, ხელებში გაუძვრა და ფეხზე ისე ჩამოეკიდა, თითქოს ზედ დააკვდაო. გოგია ხან დაემუქრა, ხან ყური აუწია, მაგრამ ფეხი ვერ გაითავისუფლა. კისერმორგვა გაშტერებული იდგა, ბიჭები ეცოდებოდა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა, როგორ მოქცეულიყო; ჩალისქუდიანი კი გოგიას მივარდა და უყვირა:

— მოეშვი! ბავშვებს აყოლიხარ?

— მონადირისა და დათვის არ იყოს, მე კი ვეშვები, მაგრამ თვითონ მეშვება?! — დოინჯი შემოიყარა გოგიამ და ყვითელი კბილები გადმოყარა.

ჩალისქუდიანი დაიხარა, ჯანგირას ლოყაზე ხელი მოუთათუნა:

— ადექი, ბიჭუნი, მითხარი რა გაწუხებს და დახმარება ჩემზე იყოს!

ჯანგირამ გოგიას ფეხს ხელი უშვა, ნელა წამოდგა და ჩალისქუდიანს შესტირა: — მოგვატყუა, ექიმი ვარო.

— რაო, ექიმი ვარო? — გადაიხარხარა ჩალისქუდიანმა და დალაქისკენ ხელი გაიშვირა, — ამან თქვა? ჰი, ჰი, ჰი! გოგია და ექიმი!.. რავარია, ჰა?..

— მართლა თქვი, შე ღმერთგამწყრალო? — გაუცინა კისერმორგვამ გოგიას.

— ვიხუმრე, კაცო! — ახითხითდა გოგიაც.

ჯანგირამ იფიქრა, ჩვენ დაგვცინიანო, გაბრაზებული შეტრიალდა და სლუკუნით გავარდა გარეთ. ბუხუტი მიჰყვა. ჯიხურს ათიოდე ნაბიჯით რომ გაშორდნენ, უცებ მათ ახლოს „ვოლგა“ გაჩერდა. მისი სარკმლიდან ულვაშიანი კაცი იყურებოდა. ატირებული ბავშვები რომ დაინახა, კაცმა ხელი დაუქნია ბიჭებს. ჯანგირა და ბუხუტი ცრემლებისწმენდით მიუახლოვდნენ. „ვოლგის“ უკანა კარი გაიღო და კაცმა ბიჭებს ღიმილით უთხრა, დასხედითო. ჩასხდნენ. მანქანა დაიძრა და ქუჩას ნელი სვლით გაჰყვა. ჯიხურის ნახევრად ღია კარიდან ჩალისქუდიანი იყურებოდა.

— ამ ბიჭებს ნუ ეხუმრებით, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ჩაისვა მანქანაში და გააქროლა!

— მართლა?! — შესძახა გოგიამ და სახე მიტკალივით გაუხდა.



## VII

„ვოლგამ“ ფართო გზიდან ორღობეში შეუხვია და სვლას ისე უკლო, იფიქრებდი, ვეება კუ მობობღავსო. ამ წყნარ უბანში მანქანის გამოჩენა იშვიათი ხილი იყო. მის შესახვედრად ჯერ ძაღლები ახმიანდნენ, ყეფითა და წკავწკავით ჭიშკრებს მიასკდნენ, შემდეგ კი ბავშვებიც გამოცვივდნენ და მანქანას უკან აედევნენ. ქუჩიკომ და სოსომ თავს დაუარეს, კაცის სიმაღლე ღობეს გადაახტნენ. ძმადნაფიცები მანქანაში რომ დაინახეს, აღტაცებით ტაში შემოჰკრეს და აყვირდნენ, გააჩერეთ, გააჩერეთო. „ვოლგამ“ ცხვირწინ ნელა-ნელა ჩაუარათ და, რომ იფიქრეს, ახლა გაჩერდებაო, სწორედ მაშინ უმატა სვლას. ჯანგირა და ბუხუტი იცინოდნენ და ძმაკაცებს ხელს უქნევდნენ.

მანქანა ზედ თებროლიას ჭიშკართან გაჩერდა.

— მგონი რამაზი დაბრუნდა, კიდეც ეშველება ჩვენს თებროლიას! — ჩაილაპარაკა ოლღამ და თავსაფრის სწორებით შარაზე გავიდა. გავიდა და რას ხედავს: ჯანგირა წინ მიუძღვის ჯმუხ, თეთრხალათიან კაცს და თებროლიას სახლისკენ მიჰყავს. ოლღამ ფეხს აუჩქარა, მალე სხვა მეზობლებიც გამოჩნდნენ.

ექიმმა ჯანგირა წინ გაუშვა, თვითონ კი მოშორებით მიჰყვა. სახლის კარი ღია იყო. თებროლია ლოგინზე ჩამომჯდარიყო, იდაყვით ხელჯოხს დაყრდნობოდა და მტკივან ფეხს დასჩერებოდა. ექიმი მოგიყვანეთო, — მიახარა ჯანგირამ და წინ დაუდგა. თებროლიას ხუმრობა ეგონა, თავი მძიმედ აიღო და გაუღიმა: მოდით, შვილებო, ექიმიც თქვენა ხართ ჩემი და პროფესორიცო. უკანასკნელი სიტყვა პირზე შეატყდა, კარებში ექიმმა შეაბიჯა და ღიმილით მიესალმა. თებროლია შეიშმუშნა, სტუმრის შესაგებებლად წამოდგომა დააპირა, მაგრამ ფეხი გაახსენდა და მკლავები უღონოდ ჩამოყარა. ექიმი მიუხვდა, მხარზე ხელი სათუთად დაადო, — ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთო.

— ასე დაბრძანდეს მტერი, მე რომ ვარ დაბრძანებული, შვილო! — თქვა თებროლიამ და შებუდნულ ფეხზე დაიხედა.

— ნუ გიშინია, ბიცოლა, მაგას ისე მოგირჩენ, მეორე ფეხს აჯობებს! — გაუცინა ექიმმა და დაიხარა: — აბა, შეიხსენი!

— ე, ბიჭო, სკამი! — ხელი აუქნია თებროლიამ ჯანგირას. ბუხუტიმ დაასწრო, მეორე ოთახში გავარდა, სელის სკამი გამოარბენინა და სტუმარს წინ დაუდგა. ექიმი დაჯდა და უკან მიიხედა. ახლაღა შეამჩნია: ქალებთან ერთად უამრავი ბავშვი შემოსულიყო.

— აბა, ბაღნებო, გარეთ! — ისე მკაცრად დაიროხროხა ექიმმა, რომ ბავშვებმა იმწამსვე კარისკენ ქნეს

პირი და უკანმოუხედავად გაილალნენ. ძმადნაფიცებიც გაჰყვნენ.

ჯანგირა და ბუხუტი ეზოში დინჯად თავაწეულნი გავიდნენ, ამაყად გადახედეს ბავშვებს, გარს რომ შემოხვეოდნენ და ყელგამოწვდით სთხოვნდნენ: მოგვიყევით, ექიმი როგორ მოიყვანეთო. ჯანგირა თავპატიჟს იდებდა, მაგრამ როგორც კი მხარში სოსო და ქუჩიკო ამოუდგნენ და მუჯლუგუნი წაჰკრეს, ჰე, დაიწყე, რაღას უყურებო, მანაც დაიწყო. სიტყვას დროდადრო ბუხუტი ჩამოართმევდა ხოლმე. ყველაფერი დაწვრილებით მოჰყვნენ, გოგია დალაქზეც ილაპარაკეს, ოღონდ ერთხელაც არ წასცდათ, ვიტირეთო.

— ვინ იყო, მანქანაში რომ ჩაგსხათ და წამოგაგრიალათ? — იკითხა სოსომ.

— მე რა ვიცი! — უპასუხა ჯანგირამ, — ისე კი ნამდვილად დიდი კაცია, ყველანი მორიდებით და ქუდის მოხდით ხვდებოდნენ.

— ის უჩვენებს სეირს გოგიას, ხო, დოცენტ? — თქვა ბუხუტიმ და მუშტი მაღლა შემართა.

...რაიაღმასკომის თავმჯდომარემ მართლაც მუქარით გადაიქნია თავი, ბიჭებმა გოგიას „ექიმობის“ ამბავი რომ უამბეს. მერე შოფერს გადაულაპარაკა, პოლიკლინიკისაკენ გავიაროთო. მანქანა ორსართულიანი შენობის წინ გაჩერდა. თავმჯდომარე მკვირცხლად გადმოვიდა და შენობის მაღალ კიბეს აჩქარებით აუყვა. ათიოდე წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა, გვერდით ექიმი მოჰყვებოდა, მხიარულად მოსაუბრობდნენ. მანქანასთან რომ მივიდნენ, თავმჯდომარემ შოფერს უთხრა: ვაშლოვანში წახვალ, ექიმს წაიყვანო.

VIII

მეორე დღეს ჯანგირასა და ბუხუტის მთელი სოფელი აქებდა. ისინი რომ არა, ექიმის მოყვანას თურმე კაციშვილი არ იფიქრებდა და საწყალ თებროლიას ისე ჰქონია საქმე, ელპიტეს „ექიმბაშობაში“ დალევდა სულსაო. საშიშროება თურმე მართლაც დიდი იყო: ექიმმა თებროლიას ფეხი დაკვირვებით რომ გასინჯა, უეცრად სახე მოეჭმუხნა, მაგრამ მერე ავადმყოფს ნაძალადევად გაუღიმა. შემდეგ კი, ხელებს რომ იბანდა, ქალებს წასჩურჩულა: ცოტაც რომ დაგვიანებოდა, უეჭველად განგრენა იყო მოსალოდნელიო.

ექიმმა თებროლიას დაბეგვილი ცერი გაუკვეთა, ჩირქი გამოურწყა, მერე რაღაც მალამო დაადო, შეუხვია და გააფრთხილა, ჩემს მოსვლამდე არ მოიხსნაო. ეშველა მოხუცს, ტკივილი გაუყუჩდა, ფეხიც თავისუფლად მოხარა და წინა ღამით თვალმოუხუჭავმა მისდო თუ არა ბალიშზე თავი, მაშინვე ღრმად ჩაეძინა. ალბათ დილითაც გააგრძელებდა ძილს, ბავშვების ხმაურს რომ არ გაეღვიძებინა. ბიჭებმა ყიჟინით მიირბინეს, კარი ნელა შეაღეს და ლოგინს მორიდებით მიუახლოვდნენ.

დასასრული შემდეგ ნომერში




## კოცონები ყორღანებზე

**ვ. იანი**

ცნობილი საბჭოთა მწერალი ვ. იანი თავის ისტორიულ რომანში — „კოცონები ყორღანებზე“ — აღწერს შუა აზიის ხალხთა თავგანწირულ ბრძოლას ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრის წინააღმდეგ. ამ ნიჭიერი, მაგრამ ულმობელი სარდლისა და დამპყრობლის სახე აქამდე მეტისმეტად გაიდეალებული იყო ბურჟუაზიულ ლიტერატურაში, ვ. იანმა კი იგი დახატა, როგორც მშვიდობიან ხალხთა დამრბევი და ქალაქებისა და სოფლების ამაოხრებელი მრისხანე მეომარი.

როგორც თვით მწერალი წერს, მას სურს ახალგაზრდობას თვალწინ გადაუშალოს ძველი ქვეყნებისა და ხალხების გმირული წარსული, დახატოს იმ მეომართა ნათელი სახეები, ერთგულად რომ იცავდნენ სამშობლოს ულმობელი და მრისხანე დამპყრობლის შემოსევისაგან. სურს იმ დამცველთა გმირულ სახეებში ახალგაზრდობა ხედავდეს ღირსეულ და მისაბაძ მაგალითს.




## ვახუშტი ბაგრატიონი

**ვ. გაბაშვილი**

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართული კულტურის სარბიელზე სამი დიდი მეცნიერი მოღვაწეობდა: სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და ვახუშტი ბაგრატიონი.




ვახუშტი ბაგრატიონი პოეტიც იყო, მთარგმნელიც, ლექსიკოგრაფიც, გეოგრაფოსი და ისტორიკოსიც, მაგრამ მის ბიოგრაფიაში მთავარი ადგილი მაინც გეოგრაფიულ-კარტოგრაფიულ და საისტორიო ნაშრომებს ეკუთვნის.

ვ. გაბაშვილი ამ წიგნში უხვად სარგებლობს იმ მასალით, რაც ვ. ბაგრატიონის ირგვლივ არის ცნობილი და ბევრი ახალი მასალაც მოაქვს. ამან შესაძლებელი გახადა ამ გამოჩენილი მოღვაწის რამდენადმე გამართული ბიოგრაფიის აღდგენა და მეცნიერულ მიღწევა-წარმატებათა შეფასება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსწავლეთა



# შემოქმედება

## ილია

თავზე დაჰხარის ილია ყვარელს, —
ასე მშობლიურს, ასე საყვარელს.
„აქ ვთამაშობდი ტოლებთან ერთად,
აქ ვისვენებდი, ამ კაკლის ხესთან.
აი, შორს რომ ჩანს კუდიგორის მთა,
იქ კაკოს ზაქრო დაუმეგობრდა“...
...თავზე დაჰხარის ილია ყვარელს, —
ბავშვობასავით ტკბილს და საყვარელს.

მარინე აბესაძე,
თელავის რაიონის ნაფარეულის საშუალო
სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## ლურჯი ზეცა

ღრუბლის ქულა უწეწიათ ქარებს,
ლურჯი ფერით პირმოხატულ ცაზე,
რა ვრცელია და რა მონარნარე
იდუმალი, მდუმარებით სავსე.
მხიბლავს მისი ესე სილამაზე,
მისკენ ლტოლვა ფიქრად გადამექცა;
ქვეყნის თვალი, მოლივლივე ასე,
არის ლურჯი და კრიალა ზეცა.

მარინე ვარაზაშვილი,
თბილისის რკინიგზის 1-ლი საშუალო
სკოლის X კლასის მოსწავლე.



კოსმონავტები — არჩილ აბჟანდაძე,
თბილისის 65-ე საშუალო სკოლა. 13 წლის.



# მშვიდობის მტრედი

ხუთსართულიანი სახლის წინ გაშლილ მინდორზე ხის თოფებით შეიარაღებული ბიჭები ომობანას თამაშობდნენ.

ტრახ-ტრახ! ტრახ-ტრახ! — გაისმოდა „ავტომატების“ ხმა.

— წინ, მომყევით! — შესძახა რამაზმა. ბიჭები უკან მიჰყვნენ. მოწინააღმდეგის ბანაკიდან ქვის სეტყვა წამოვიდა.

— ვაი! — იყვირა ზურიკომ და დაეცა. ლევანმა თავზე იტაცა ხელი, დათომ უცნაურად აიქნია ფეხი. არ მოელოდნენ ბიჭები, მოწინააღმდეგე ასე თუ გაიმეტებდა მათ.

დროდადრო ქვა ტყვიასავით გაიზუზუნებდა. შედრკნენ პატარა მებრძოლები, უკან დახევა დააპირეს, მაგრამ წაქცეული ვერ მიატოვეს. ხელი შეაშველეს. ფეხზე რომ ვერ წამოაყენეს, მის გარშემო შეჩოჩქოლდნენ.

„მტერმა“ შენიშნა ეს და სროლას თავი ანება. საფარი მიატოვა და დაზარალებულისაკენ გამოეშურა საშველად. გაბრაზებულმა ბიჭებმა მათ წინააღმდეგ ხელკეტებივით მომარჯვეს თოფები.

ის იყო ხელჩართულ ბრძოლაზე უნდა გადასულიყვნენ, რომ უცებ მათ შუა დიდი, ცისფერი ბურთი დაეცა.

ბიჭებმა თოფებსა და ხმლებს ხელი უშვეს და ბურთს წაეტანენ. ამ დროს გოგონებმაც მოირბინეს.

— მოგვეცით ბურთი, ჩვენია! — დაიძახა მზიამ. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ყველა ასასროლად გამზადებულ ბურთს მიაჩერდა. დიდი, თეთრი მტრედი იყო მოხატული მასზე. წუთით გაირინდნენ ყველანი.

ზურიკო კოჭლობით წამოდგა, თავისი ხელით გამოთლილი ხმალი გამეტებით დაირტყა მუხლზე და შუაზე გადატეხა. დანარჩენებმაც მიჰბაძეს მას.

ბავშვებმა დამტვრეული თოფებისა და ავტომატების გროვას ზურგი აქციეს და იქვე ხელბურთი გააჩაღეს.

სოსომ სწრაფად ჩაიგდო ხელში ბურთი და ლევანს ესროლა, ლევანმა — თამრიკოს, თამრიკომ — რამაზს...

ლაღად ხტოდა ბურთი, ხტოდა, ბზრიალებდა. მასზე მოხატული მტრედი გაორდა, გასამდა, გაათდა, გასდა და თითქოს შორს გასაფრენად იწევდა, რომ ყველგან, ყველასათვის მოეტანა მშვიდობა, ისე, როგორც რამდენიმე წუთის წინ ამ პატარა „მეომრებს“ მოუტანა.

# მელოდია ფორტეპიანოსათვის




ლია ბერიძე,
თბილისის მუსიკალური ათწლედის
IV კლასის მოსწავლე.

# ძველი სახლი

ძველია ჩვენი სახლი, მაგრამ უფრო ძველია სახლის გვერდით მდებარე ბაღი, ბაღზე უფრო ძველია ბებერი თუთა. ჩვენი სახლი მალე უნდა დაანგრიონ. მიხარია ახალ ბინაში გადასვლა, მაგრამ მენანება ძველიც, თითქოს რაღაც ჩამწყდა გულში მასთან განშორებისას. ეს სახლი მომაგონებს ჩემი პატარაობის იმ ადგილს, სადაც პირველად გავმართე მუხლი, ვთქვი: „დედა", „მამა". მაგრამ... ირახრახებენ ექსკავატორები, იგუგუნებენ ბულდოზერები და გაქრება ყოველივე ის, სადაც 9 წელი გამიტარებია. ამ განვლილ წლებს მომაგონებს სახლის კედლიდან გამოღებული აგურის ნატეხი, რომელსაც სათუთად შევინახავ ჩემი მაგიდის უჯრაში.

ლაშა კოტრიკაძე,
ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა კლუბის წევრი.

# ვირის დარიგება

მთელი ღამე მუშაობით დაღლილ დაქანცული ორი ხარი ბოსელში დაბრუნდა; აქ მათ ვირი დახვდათ, ის გემრიელად შეექცეოდა ახალ თივას და კმაყოფილი კუდს აქნევდა.

— საღამო მშვიდობისა, ძმობილო! — მიესალმა ერთი ხარი, — როგორა ხარ?

— კარგად! — უპასუხა ვირმა.

— ჰო, შენ ბედნიერი ხარ, — გვერდზე გადგა ხარი, — მე კი უბედური.

— რატომ მერე? — ჰკითხა ვირმა.

— მთელი დღე მივათრევ გუთანს, საღამოს კი ურემში უნდა შევება და ჩემი პატრონი ჩამოვიყვანო შინ.

— მერე, შენც მოიავადმყოფე თავი! — ურჩია ვირმა. — დაწექი მიწაზე, იკვნესე და ხვალ პატრონი აღარ შეგაბამს.

ამ დროს პატრონი კარს უკან იდგა და გაიგონა ხარისა და ვირის საუბარი. მას არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაიცინა და თავი გაიქნია.

მეორე დღეს ხარი ისე მოიქცა, როგორც ვირმა ურჩია — დაწვა მიწაზე და დაიწყო კვნესა. ბოსელში პატრონი შემოვიდა და თქვა:

— ჩემი კარგი ხარი ავად არის, მე ტი რა გზაა, ვირი უნდა შევაბა.

მთელი დღე ეწეოდა ვირი გუთანს, საღამოს კი ყურებჩამოყრილი დაბრუნდა ბოსელში. „ავადმყოფი" ხარი იწვა და გემრიელად შეექცეოდა ახალ თივას.

— გმადლობ, ძმაო! — უთხრა მან ვირს, — იცი რას გეტყვი? ძალიან მომეწონა შენი რჩევა. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ასე ვიწვები ავადმყოფივით.

— მაშ, არაფრის გაკეთება არ გინდა? — დაიყვირა გაბრაზებულმა ვირმა,

— რაღად მინდა მუშაობა?

— მე დღეს გავიგონე, პატრონი თავის მეზობელს ეუბნებოდა: ჩემი ხარი ძალიან ავად არის, თუ ხვალ დილას არ ადგა, უნდა დავკლაო.

ხარი შეშინდა, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და, ინათლა თუ არა, იკადრა ფეხზე წამოდგომა.

გერმანულიდან თარგმნა
მაყვალა ალელიშვილმა,
დაბა ასპინძის საშუალო სკოლის
IX კლასის მოსწავლე



მ ა გ დ ა ნ ა ს
ლ უ რ ჯ ა

**სოსო ლუჭიშვილი,**
თბილისის 65-ე საშუალო სკოლა.

# ცის უსასრულობა

„ეს გოგონა კოლმეურნეობის მწველავი ლალი ლოსეურაშვილია. მის მშვენიერ სოფელს—მთების და ფშავის არაგვის მესაიდუმლეს, მაღაროსკარი ჰქვია. აქ აიდგა ფეხი ახალგაზრდა მწველავმა და სულ მალე დუშეთის რაიონში, ხოლო შემდეგ მთელ საქართველოში გაითქვა სახელი. მადლიერმა კოლმეურნეებმა იგი კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატად აირჩიეს“.

გაზეთებიდან.

## 16 აგვისტო. თბილისი

დამთავრდა ყველაფერი. არ ვიქნები უმცირესი ნაწილი ამ დიდი ლტოლვისა და მოძრაობისა. დავუბრუნდები ჩემს მთებს, ვაჟას მთებს. ეს ჩემი პირველი მარცხია: გადავდგი თუ არა ცხოვრებაში პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი, დავმარცხდი. მაინც რად ვიყავ ასე დარწმუნებული, რომ გამოცდებს უთუოდ ჩავაბარებდი?

რამდენი სკოლაა ჩვენს რესპუბლიკაში, რამდენმა დაამთავრა წლეულს სკოლა და განა ყველა სტუდენტობაზე არ ოცნებობდა? მაგრამ ყველა ხომ ვერ აისრულებდა საწადელს!

ბიბლიოთეკა

რაღა მაინცდამაინც მე გამოვაკლდი სწორთ. მარიამიც ჩაირიცხა, უშანგიც, სანათაც.

— დანარჩენები?

— რაღა რჩეულთა შორის ვეძებ ადგილს, ცოტაა მაღაროსკარში ჩემგვარები?

ქვეყნის უკეთესი ხომ არ გგონია, ქალავ, თავი? შებრძანდი მეტროპოლიტენში, ჩაეშვი უფსკრულს, ოღონდ — ფრთხილად. ქალაქურად, მოხდენილად რომ ვერ მოახერხებ ამას, ეს შენც იცი, მაგრამ სიმშვიდე მაინც შეინარჩუნე, გაქცეულ მელასავით მაინც ნუ აიწურები! მერე მიდი შინ...

ჰო, ლალი ლოსეურაშვილო, აიკრიბე გუდა-ნაბადი და მიბრძანდი, საიდანაც მობრძანებულხარ. უკან წაიღე შენი საგანგებოდ შეკერილი „ტალავარი“, ფშავში რომ ქვეყნის უკეთესი გეგონა, და მიბრძანდი.

მივბრძანდები, რატომაც არა! განა ყველას უნახავს ჩემი ფშავი, მისი არაგვი, მისი შარახეულა, მისი გოლიათი მთები ახლართულ-დახლართული ბილიკებით, კლდეებზე გადმოკიდებული ანკარა ნაკადულებით, ქოჩორა ტყეებით. პირიმზე ყველას უნახავს? შალშავი? „ჩხიკვთა ქორწილი“ ყველას მოუსმენია?

— შენ, ლალი, შენ კი გინახავს შენი ფშავის მეტი სხვა რამ?

— ვნახავ! ჯერ ხომ ახლა ვიწყებ ცხოვრებას, ჯერ ხომ ახლა დავამთავრე ფიზიკისა და ქიმიის სწავლა?

— აკი ყველაფერი დამთავრდაო?

— ჰმ... დამთავრდა არა!..

— მაშ!

— ხომ არ გგონია, მივალ ჩემს სოფელში, ჩავიკეტები შინ და მგლოვიარედ დავჯდები, — უმაღლესში ვერ ჩავირიცხე მეთქი. მერე რა, რომ ვერ ჩავირიცხე! უმაღლეს დამთავრებულიც ისევ სოფელს არ უნდა დავბრუნებოდი? ახლაც დავბრუნდები და, რაც შემეძლება იმას გავაკეთებ.

— რას გააკეთებ, აბა რა შეგიძლია?

— რა შემიძლია? რა შემიძლია და, ძროხებს მაინც მოვწველი, დედაჩემი რომ სკოლაში წავა. იმსახუროს თუ ოჯახს მოუაროს? ძროხებს მაინც მოვწველი...

— ჰა? რა იქნება, ლალი, ფერმის მწველავი რომ გახდე?

— ფერმის მწველავი რომ გავხდე?

— ჰო. ყველაფერი არ დამთავრებულა. იქნებ ფერმის მწველავიც გახდე.

---

## 31 ოქტომბერი. თბილისი

ელისო ვირსალაძის კონცერტი მოვისმინე ტელევიზორით. ასეთი წარმატება ელისოსავით ახალგაზრდას მხოლოდ სიზმრად თუ მოეჩვენება. ოვაციები და ყვავილები... ოვაციები და ყვავილები... ვინ იცის, იქნებ ელისოსაც ზმანება ეგონა, მაგრამ არა. იდგა ოცნებაასრულებული, მოღიმარი მუსიკოსი და მეათასედ იხდიდა მადლობას ტაშის გრიალში.

ალბათ ბევრი უძილო ღამე უძღოდა წინ ამგვარ წარმატებას. ეს ძროხების წველა როდია! მაგრამ მეც, ძროხების მწველავმა გოგომაც რომ გავიმარჯვე? ასეც მხოლოდ სიზმარში შეიძლება მოხდეს, კიდევ ზღაპარში და კიდევ იმ ქვეყანაში, რომელიც ლენინის იდეებით აშენდა! მე უკვე გმირი ვარ და ვისმენ ჰიმნს ადამიანის შრომაზე. ჩვენთვის, საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობის დელეგატებისათვის, მღერიან შრომის, ქართული მიწის ბატონ-პატრონის სადიდებელ ჰიმნს. ჩვენთვის მღერიან კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის „შრომის სიმღერას". მთელი საქართველო მღერის კომუნიზმის მშენებელ ხალხთა ძმურ ოჯახში ცხოვრებისა და შრომის ბედნიერებაზე. ჩვენთვის, ყრილობის დელეგატებისათვის მოსულან ამ დიდ თეატრში კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატის ნ. დუმბაძის ნაწარმოებების გმირები.

...„სად მიდიხარ შენ, ჩემო სოფლის შარაგზაო, და საით მიგყავს ჩემი სოფელი? გახსოვს? ერთ დღეს შენ წამართვი ყველაფერი, რაც გამაჩნდა ამ ქვეყანაზე. მე გთხოვე მაშინ, შარაგზაო, და შენ დამიბრუნე რაც შეგეძლო, და მე მადლიერი ვარ შენი"... „პირს ვიზამთ აღმოსავლეთით, დავეწრებით ბაჯაღლო მზის ამოსვლას"...

მე ხატია არა ვარ, მის სიტყვებს კი მღერის ჩემი გული: „ხალხო, მე გხედავთ თქვენ!" ერთი უბრალო ფშაველი გოგო გხედავთ თქვენ! თქვენთან ერთად ვმღერი თეატრის დიდ შენობაში მე, თავისუფალ ქვეყნის, ლენინიზმის იდეების ერთგულების სადიდებელ ჰიმნს; შრომის, საბჭოთა ადამიანების მეგობრობის, ყველა ხალხის ნათელი მომავლის ჰიმნს — „სამშობლო გვიხმობს!" გვიხმობს და ვივლით, რომ ვნახოთ „სად თავდები, და თუ სადმე თავდები, ჩვენ არ გაგათავებთ შენ. ვივლით ასე უსასრულოდ ხელიხელჩაკიდებულნი".

## 25 ნოემბერი. მოსკოვი

მოსკოვში ვარ, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში. საქართველოს სოფლის ახალი ცხოვრების მშენებლების, ხელმადლიანი შრომით სახელმოხვეჭილ ასორმოცდაერთ წარგზავნილთან ერთად. მე, ასორმოცდამეორე დელეგატს, მოსკოვი მიწევს მასპინძლობას. ნამდვილი მოსკოვია, კინოსურათში ნახული არ გეგონოთ. „მხურვალე სალამი კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობის დელეგატებს!" — ასე აწერია ჩვენს მატარებელს, რომელიც ორი დღე-ღამე მოჰქროდა საბჭოთა ქვეყნის გულისაკენ. ამ ორ დღე-ღამეში ვის აღარ მოვუსმინე: კობა ჩოხელს, მიხაკო ორაგველიძეს, პროკოფი სვანიძეს, არსენ კობაიძეს... მათმა მარჯვენამ აავსო ქვეყანა ბარაქითა და დოვლათით, ქართულ მიწაზე მათი და ჩვენი კოლმეურნეების მარჯვენის მადლით დახვავდა ულევი დოვლათი. და აი, ეხლა მათთან ერთად მაღაროსკარელ მოწინავე მწველავსაც ხვდება მოსკოვი. მათთან ერთად



მ წ ყ ე მ ს ე ბ ი

**ამირან კობერიძე,**
თბილისის 26 კომისრის რაიონის
პიონერთა სახლი.

მეც დავდგი ფეხი ლენინის მავზოლეუმთან. მე უკვდავი ლენინი ვნახე. ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შევამკე მთელ პლანეტაზე მბრწყინავი კაცის მავზოლეუმი. მერე უცნობი ჯარისკაცის საფლავი ვნახე საკუთარი თვალით. შოთა რუსთაველს ჩამოვუტანე მადლიერი ქართველი ხალხის სალამი და საქართველოს ყვავილები. მეც შემეგებნენ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მძლავრი ქარხნის „კალიბრის“ მუშები. იმავე დღეს ქართველ ახალგაზრდა დელეგატებს შეხვედრა მოგვიწყეს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში.

დღეს კი, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში შევდგი ფეხი... სახეზე ალმური ამდის, მუხლები მიკანკალებს, მაინც მივაბიჯებ ჩემი ფშავური „ტალავრით“ ყრილობათა სასახლეში.

„ძვირფასო ამხანაგებო! — მესმის ცოცხალი ყვავილების კალათებით და ალისფერი დროშებით მორთულ მაღალი ტრიბუნიდან: —ამ ღირსშესანიშნავ დღეებში სოფლის მილიონობით მშრომელს, ისე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, მაღლა უჭირავს ლენინის იუბილეს აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროშა. ეჭვი არ არის, რომ კოლმეურნე გლეხობა ღირსეულად შეეგებება ამ ისტორიულ თარიღს“.

ვუსმენ ჩვენი ქვეყნის მესვეურებს და ფიქრს ისევ ჩემს სოფელში გადავყავარ. აი, წაბლისფერი, თეთრხალიანი ძროხის ქაფქაფა რძე ცურიდან თითქოს ულევლად მოჩხრიალებს, თეთრხალიანს ჭრელა სცვლის, ჭრელას — ლამაზო, ლამაზოს — მაშიკო. აი, სანათოსაც მოუგია ჭკვიანთვალება ხბო! ისიც რძესავით თეთრია. რძე კი უკვე მდინარესავით მოედინება ჩემი თითების მოძრაობაზე. მოედინება უსასრულოდ, ისევე უსასრულოდ, როგორიც არის მოსკოვის ცა, ჩემი ქვეყნის ცა და მიწა. აქვს დასაწყისი, და არა აქვს დასასრული!

**ციური წიკლაური,**
დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.



ტანკი
 რ. ცვიჟბა,
18 წლის.
ქ. სოხუმი.

## ფიტარეთი

ზეატყორცნილი გუმბათის ყელი
აელვარებულ ცისაკენ ილტვის,
შემოუნახავს სურნელი ძველი
და მადლიანი ქართული სიტყვის.

მტკიცედ გამჯდარა თაღებში ძელი,
ნეტავ სიბერე არ მოერია?
კურთხევისათვის მოხრილი ხელით
უტყვი ფრესკები შემოგცქერიან.

საგალობელი ჩამესმის ყურში,
ტაძარში თითქოს ქვებიც მღერიან...
და აღტაცება იფეთქებს გულში,
დავიწყება რომ არ უწერია.

## ზამთარი

დაათოვა მთებს და ველებს,
ქარბორბალა ირევა...
ნუკრმა ძუძუ რომ მოწოვოს,
რა მოძოვოს ირემმა?

ღრუბლის ფარდა, ტყვიისფერი,
ზეცას აფარებულა;
ჩალის წვერზე შემომჯდარა
გაბუსული ბეღურა.

შარა თეთრად დაფენილა,
ჩიბუხს წევენ ბუხრები;
სახლის გვერდით სასიმინდეს
ჩაკეცვია მუხლები.

იფარფატეთ, ფანტელებო,
ქათქათა ყვავილებად,
მაგრამ ნუკრმა რომ მოწოვოს,
რა მოძოვოს ირემმა?..

**კოგა ჭუმბურიძე,**
ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა კლუბის წევრი.

ლევან გელაშვილი,
თბილისის 1-ლი საშუალო
სკოლის III კლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიცოცხლე გრძელდება

წიგნების კარადის ყველაზე შორეულ კუნჭულში ჟამთა სვლისაგან გაყვითლებული წიგნები აწყვია. ეს ძველი სახელმძღვანელოებია. სამ ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ მათ ალბათ გულმოდგინედ ფურცლავდნენ ჩემი მშობლები. ზოგს გატაცებით, სიყვარულით კითხულობდნენ, ბეჯითად სწავლობდნენ, ზოგი იქნებ ნაკლებად აინტერესებდათ, მაგრამ მაინც ამზადებდნენ გაკვეთილებს. ამიტომაც გაცრეცილა ყველა გვერდი, თუმცა, დაკვირვებული თვალი უმალ შეამჩნევს, რომელ წიგნს დასდგომია განსაკუთრებული ჯაფა, უფრო მეტიც, ზოგი ფურცელი აშკარად მეტყველებს, რომ მას არაერთგზის დაუბრუნდნენ, ბევრჯერ გადაიკითხეს. და მეც ვაკვირდები ამ ფურცლებს, სტრიქონებს. ზოგი მათგანი უცვლელად გადმოსახლებულა ჩემს სახელმძღვანელოში, უკვე კარგად არის ცნობილი ჩემთვის და ჩემი ტოლებისათვის, ზოგს კი ჭელარ შეხვდები ახლანდელ წიგნებში. ეს, რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს: სამი ათეული წლის განმავლობაში კი არა, ყოველდღე იმდენი ახალი რამ ხდება, რომელი სახელმძღვანელო დაიტევს! ვიცი ეს და მაინც მიკვირს, როგორ შეელიენ ამ ლექსსა თუ მოთხრობას, ნარკვევსა თუ ამბავს...

წიგნს ყდა აღარა აქვს, მაგრამ გარსშემოკრულ ქაღალდზე აწერია: „1933-34 სასწავლო წელი. რუსული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო". მასში ერთი მოთხრობაა, რომელიც ალბათ სამუდამოდ დაახსომდათ იმ დროის მოსწავლეებს.

მოთხრობაში ნაამბობია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი ტრაქტორისტის პეტრე დიაკოვის თავგადასავალი. მას ღამით კულაკები თავს დაესხნენ, შებოჭეს, ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. დაწვეს! დიახ, დაწვეს ცოცხალი ადამიანი, სიცოცხლით სავსე ჭაბუკი, რომელიც სიკეთისათვის იბრძოდა და შრომობდა.

ვფიქრობდი პეტრე დიაკოვზე და მოულოდნელად საბავშვო ენციკლოპედიის ფურცლებზე წავაწყდი ამ სახელსა და გვარს. გასაკვირი თითქოს არაფერია: ქვეყნად ალბათ ბევრი სეხნიაა. მათ შორის პეტრე დიაკოვებიც უთუოდ იქნებიან! საოცარი ის იყო, რომ მასაც თითქმის იგივე გადახდენოდა. დიახ, თითქმის, რადგან ენციკლოპედიაში გარკვევით წერია, რომ პეტრე ცოცხალია, ცხოვრობს თავისი სახელოვანი ცხოვრებით, გმირულად შრომობს. გული დამწყდა, რომ არ ეწერა, სად არის იგი ამჟამად. სადღაც გულის სიღრმეში მაინც მაღელვებდა: ვინ იცის, იქნებ რაღაც სასწაულით მოხდა ასეთი თანდამთხვევა და იმ პატარა მოთხრობის ტრაგიკული დასასრული არ შეცვლილა?!

და აი, შარშან, ოცდაშვიდ ნოემბერს, ქართულ გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა რეპორტაჟი — „ლეგენდარული პეტრე დიაკოვი".

მოსკოვში, კრემლის სასახლეში, კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობაზე, კორესპონდენტი შეხვდა საშუალო ტანის, ხმელ-ხმელ, ჭაღარა კაცს, რომელსაც კეთილ სახეზე მძიმე ნაიარევი ეტყობა. ეს არც ხმლისაა და არც ტყვიისა: კაცს სახე ცეცხლისაგან აქვს დამწვარი. ამ კაცის სახელია პეტრე, გვარი — დიაკოვი.

შემდეგ ცისფერ ეკრანზე მეც ვნახე ეს გმირი ადამიანი, მეც დავინახე მისი ნაიარევები და მოვისმინე გმირული თავგადასავალი, რომელსაც იგი უბრალოდ ჰყვებოდა. ჰყვებოდა იმას, თუ როგორ შეიკრიბნენ პირველად მისი სოფლის ყველაზე კეთილი, ყველაზე გონიერი, მაგრამ ყველაზე ღარიბი ადამიანები და გადაწყვიტეს შეექმნათ კომუნა, რომელსაც „ახალი გზა" დაარქვეს. ახალი გზით სიარული კი ადვილი არ იყო. გააფთრებული კულაკები უბრძოლველად არ თმობდნენ ძველს. ასეთ დროს გაგზავნეს თანასოფლელებმა პეტრე ტრაქტორისტების კურსებზე და მალე მთელს იშიმის ოლქში პირველი ტრაქტორიც მას ჩააბარეს.

გუგუნებდა პირველი ტრაქტორი და სიმღერით მიჰყვებოდა გზას პირველი ტრაქტორისტი. ის სიმღერაცა და ის გუგუნიც სოფლად ჭეშმარიტი რევოლუციის დაწყების მაუწყებელი იყო. გლეხს ძველი ცხოვრება უნდა დაენგრია და ამისთვის იგი არაფერს არ დაიშურებდა, თვით სიცოცხლესაც კი! მას უნდა აეშენებინა ახალი და მზად იყო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა ამისთვის. მაგრამ კულაკებიც გრძნობდნენ, რომ დადგა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ჟამი და მძინვარებდნენ. სოფელი ბობოქრობდა...

ერთ საღამოს პეტრე ახალ ნაკვეთს ხნავდა. ის იყო ორიოდე კვალი გაავლო, რომ მოულოდნელად ვიღაცამ მხარზე მძიმედ დაკკრა. იმავე წამს ორი კაცი დააცხრა. თავგამოდებით შეებრძოლა ტრაქტორისტი, მაგრამ ხელები გადაუგრიხეს, ტრაქტორზე მიაბეს, გამ-

ხეცებულებმა ნავთი გადაასხეს და ცეცხლიც აბრიალდა.

ვუსმენდი პეტრე დიაკოვის ნაამბობს და ვფიქრობდი იმაზე, რომ საჭიროა ახლავე, დაუყოვნებლივ, ცვლილების შეტანა სახელმძღვანელოში: პატარა მოთხრობა, რომელსაც თაობები სწავლობდნენ, ძველი სახელმძღვანელოდან ახალშიც უნდა გადმოვიდეს. ყველამ, ყველამ უნდა გაიგოს, რა მოხდა შემდეგ.

უკუნ ღამეში ჩირაღდანივით ენთო ალმოდებული ტრაქტორი. ცეცხლის ენები ლოკავდნენ გონებადაკარგულ ჭაბუკს. დაიფერფლა ტანსაცმელი. დანახშირდა თოკები, რომლებითაც მტარვალებმა პეტრე ტრაქტორზე მიაბეს. ნაწამები სხეული შავი მიწის ბელტებზე დაეცა. ზეცამ იტირა წვიმის მარგალიტებით და წამით დაუბრუნა ცნობიერება ნატანჯ ადამიანს. გზად მიმავალმა კეთილმა კაცმა გაიგონა გულშემზარავი გმინვა და მოვიდა საშველად.

მთელი წელიწადი ებრძოდა სიცოცხლე სიკვდილს, ტანჯვით თენდებოდა და ღამდებოდა ყოველი დღე და თითქოს დასასრული არ უჩანდა ამ წამებას. მაინც ღვიოდა სიცოცხლის ნაპერწკალი, მაინც იბრძოდა სიცოცხლე. სადღაც ხომ გულის სუსტი ფეთქვა ისმოდა და ძარღვებში მთლად არ გაყინულიყო ჭაბუკური სისხლი.

ხალხში კი დიდი ხანია მღეროდნენ სიმღერას დაფერფლილ ვაჟკაცზე. ლეგენდადქცეული ამბავი იკინძებოდა ლექსებად, მოთხრობებად, სიმღერებად.

სიცოცხლე კი ებრძოდა სიკვდილს და იმარჯვებდა.

პეტრე დიაკოვი გადარჩა. იგი ცოცხალია და მისი ბიოგრაფია აღსავსეა ლამაზი სტრიქონებით. მისი ნაიარევი სახე გაცისკროვნებულა ბედნიერი ღიმილით. მისი გამრჯე ხელები გაკაჟებულა გმირული შრომით. მისი მკერდი დამშვენებულა ბრძოლითა და შრომით მოპოვებული ორდენებით!

პეტრე დიაკოვმა გაიმარჯვა რევოლუციურ ბრძოლაში, ხალხის მტრებთან — კულაკებთან ბრძოლაში. მერე იგი ქვეყნის დოვლათისათვის იბრძოდა, იბრძოდა და იმარჯვებდა. მაგრამ მოულოდნელად სამშობლოს ახალი უბედურება დაატყდა თავს და მაშინ სამამულო ომში წავიდა პეტრე. იქაც გმირულად იბრძოდა და გაიმარჯვა. გაიმარჯვა კაცობრიობის მტრებზე — ფაშისტებზე. მერე ისევ მშვიდობიან ბრძოლაში ჩაება. ეს იყო ჭიდილი ყამირთან. აქაც გამარჯვება იზეიმა მრავალ ბრძოლაში გაკაჟებულმა.

იგი არასოდეს არ დამარცხდება!

მაშ, დაიწეროს რამე პეტრე დიაკოვის მეორე სიცოცხლეზეც, იმაზე, რომ ცეცხლი ვერ მოერია ადამიანის უდრეკ ნებას, რომ ბოროტმა ვერ სძლია კეთილს და ახალმა სამარადჟამოდ გაიმარჯვა! დაიწეროს და უხათუოდ შეიტანონ სახელმძღვანელოებში, რომ ყველამ იცოდეს საბჭოთა ადამიანის გმირული ცხოვრების ამბავი!

**თეო ჯალაღანია,**
თბილისის რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.



**ნავსადგური.** მ. დუმბაძე, ბათუმის მე-17 საშუალო სკოლის IX კლასი.

# საქართველოს სპორტ-სახელის დამცველ-რაინდი

**ზურაბ ჯანდიერი**

ბევრ თქვენგანს ალბათ გაუგონია, ან წაუკითხავს სახელოვანი ქართველი სპორტსმენების მრავალ გამარჯვებათა შესახებ ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს, ევროპისა თუ საკავშირო პირველობებში. ქართული სპორტის მატიანეში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი მოჭიდავეების გივი კარტოზიას, ვახტანგ ბალავაძის, მძლეოსნების — ნინო დუმბაძის, ელენე გოკიელის, ფეხბურთელების — ბორის პაიჭაძის, სლავა მეტრეველის, მიხეილ მესხის, ჩოგბურთელების — ალექსანდრე მეტრეველის, ალა ივანოვას, მოჭადრაკეების — ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, ველოსიპედისტ ომარ ფხაკაძის, ტანმოვარჯიშეების — მზია ჯუღელის, მზია ნინოშვილის, ალექსანდრა ჯანუყაშვილის და სხვათა და სხვათა სახელები. მათ მრავალი წლის მანძილზე მხრებით ზიდეს მძიმე ტვირთი, რათა საქართველოს სპორტული დიდება გასცდენოდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და შორეულ ქვეყნებშიც გაჟღერილიყო.

და აი, ჩვენი სახელოვანი ფალავ-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნების მემკვიდრეებს — ნორჩ სპორტსმენებს მორიგი ზეიმი ჰქონდათ: თბილისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავსა და დუშეთში შეიკრიბნენ სპორტის 22 სახეობის წარმომადგენლები, რათა ერთმანეთთან პაექრობაში გამოერკვიათ, თუ ვინ იყო მჯობნის მჯობნი საქართველოს მოსწავლეთა XXII სპარტაკიადაში.

ჩოგბურთში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის ა. მეტრეველის მიმდევართა შეჯიბრებაში რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 9 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. აქ თბილისელების უპირატესობა აშკარა იყო და ისინი თითქმის ყველა საპრიზო ადგილის მფლობელნი გახდნენ.

საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის კორტებზე ბევრჯერ წარმატებით გამოსულან ძმები არჩილ და ივანე ელერდაშვილები. მათ დიდი ხანია სარბიელი მიატოვეს და ნორჩი სპორტსმენების აღზრდას მიჰყვეს ხელი. ბევრ შეჯიბრებაში ჩინებულად ასპარეზობენ მათ მიერ აღზრდილი ჩოგბურთელები. საქართველოს მოსწავლეთა XXII სპარტაკიადაზე ვეტერანი სპორტსმენების შვილებმაც გაახარეს ჩოგბურთის გულშემატკივრები. ივანე ელერდაშვილის შვილებმა — მარინემ და გიამ ჩემპიონობა მოიხვეჭეს, ხოლო არჩილის ქალიშვილი ლალი მესამე იყო 1958-59 წლებში დაბადებულ ნორჩ სპორტსმენთა ასპარეზობაში.

ბადმინტონი ჩვენში შედარებით ახალია, მაგრამ იგი სწრაფად დაინერგა ნორჩ სპორტსმენთა შორის. ამიტომ იყო, რომ მოსწავლეთა წლევანდელ სპარტაკიადაში 9 გუნდი გამოდიოდა. აქ ყველას თბილისელმა ნორჩებმა აჯობეს, მაგრამ მათგან ყველაზე უფრო მაინც დედაქალაქელმა გოგონამ რ. ოკინაშვილმა ისახელა თავი. იგი ჯერ ერთეულთა შეჯიბრებაში გახდა ჩემპიონი, შემდეგ ასეთივე ტიტული მოიხვეჭა შერეულ და გოგონათა წყვილებში.



სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლე რ. ქოქაშვილმა ბურთით ვარჯიშში მესამე ადგილი დაიკავა.

ხორჩი „გაფრინდაშვილები“ და „გურგენიძეები“ საჭადრაკო დაფებს მიუსხდნენ რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში. პატარებმა ისეთი ბრძოლა გაუჩაღეს ერთმანეთს, რომ დიდებსაც კი შეშურდებოდათ. აქაც ყველაზე უკეთ თბილისელები გამო[illegible]დნენ, მათ გაიმარჯვეს, როგორც [illegible]ურ, ისე ცალკეულ დაფებზე [illegible]იბრებაში. ნორჩი მძლეოსნები იმდე[illegible] [illegible]ხეობაში გამოდიოდნენ, ჩამოთვლ[illegible] კი გაუძნელდება კაცს. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ საქართველოს მძლეოს[illegible] [illegible]აიმედო ცვლა ეზრდებათ ნორჩებ[illegible] [illegible]ხით. ამ ას-



თბილისის ნორჩ მხატვრულ ტანვარჯიშეთა გუნდი, რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.



ქართველ ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდი ასპარეზობისას.

პარეზობაში ყველას თბილისელმა მოსწავლეებმა აჯობეს.

ტანვარჯიში სპორტის უძნელესი სახეობაა. იგი სპორტსმენისაგან დიდ ჯაფას მოითხოვს, მაგრამ, საქართველოში დიდად პოპულარულია და უამრავი მიმდევარი ჰყავს. დიდ შეჯიბრებაში განსაკუთრებული წარმატებით გამოდიან ნორჩები. ქართველი ტანმოვარჯიშე გოგონები და ბიჭები ყოველთვის საპრიზო ადგილებს იხვეჭენ საკავშირო სპარტაკიადებში, საერთაშორისო ასპარეზობებში. მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მაყურებლებმა ვერ ნახეს ჩვენი წამყვანი სპორტსმენები: ბათუმელი რუსუდან სიხარულიძე და თბილისელი ნინო დრონოვა. ეს ორი სპორტსმენი სსრკ ნაკრები გუნდის წევრია და დიდი საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის ემზადება. ოსტატობის პროგრამით მოასპარეზე გოგონებში ბადალი არ ჰყავდა თბილისელ მზია მონიავას, ბიჭებში — ზუგდიდელ ნუგზარ გარდავას. სხვა თანრიგებში იმარჯვეს აფხაზეთის, აჭარის, გორის, რუსთავისა და გარდაბნის სპორტსმენებმა.

კალათბურთელები სოხუმში ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. ვაჟთა შორის აქ ჩემპიონობა არავის დაუთმო აფხაზეთის ნაკრებმა, გოგონებში უძლიერესი იყო თბილისის გუნდი, ჯერი ქუთაისელებზეც მიდგა. მათი გამარჯვებით დამთავრდა ტყვიით სროლაში ასპარეზობა. ფეხბურთში ტოლი არ ჰყავდათ თბილისელებს. მათ ფინალში ადვილად გატეხეს ქუთაისელთა წინააღმდეგობა, გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1 და სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ.

შეჯიბრებები სპორტის კიდევ ბევრ სახეობაში ჩატარდა, მაგრამ მათზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. საერთოდ, საქართველოს მოსწავლეთა XXII სპარტაკიადამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. აქ ერთი რამეც უნდა დავსძინოთ: კარგია, როცა იმარჯვებ, ასახელებ მშობლიურ სკოლას, რაიონსა თუ ქალაქს. მაგრამ ყველა ხომ გამარჯვებულის სახელს ვერ მოიხვეჭს. დამარცხებულებმაც არ უნდა დაყარონ ფარ-ხმალი. წინ კიდევ ბევრი საინტერესო შეჯიბრება და მუყაითი ვარჯიშით შეიძლება, ამჯერად დამარცხებულმა, მომავალში გამარჯვება იზეიმოს. მსოფლიო სპორტში არის ბევრი მაგალითი, როცა სუსტი აგებულების ნორჩები სისტემატური ვარჯიშის შემდეგ ჩვენი პლანეტის სახელმოხვეჭილი სპორტსმენები გამხდარან.

ეს ამბავი ამ შეჯიბრებამაც დაადასტურა. მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა 14 წლის ქუთაისელი გოგონა ნათელა ქათამაძე. ეს მოულოდნელი იყო, რადგან ნათელა მსგავს სპორტულ ღონისძიებაში პირველად გამოდიოდა და მის მიერ ჩემპიონის სახელის მოხვეჭა მართლაც რომ სენსაცია იყო ყველასთვის. სულ პატარა იყო ნათელა, როცა გაბედა და მწვრთნელ ლ. შავდიასთან მივიდა. მწვრთნელმა შეათვალიერა სუსტი გოგონა, იფიქრა, ამისგან რა უნდა გამოვიდესო. მაგრამ, როცა ნათელამ თავისუფლად გააკეთა ერთ-ერთი რთული ილეთი, ლ. შავდიამ იგი უყოყმანოდ მიიღო სექციაში.

ნუ მოგერიდებათ, თამამად შეაღეთ სპორტული დარბაზისა თუ მოედნის კარი. იქ თქვენ გულთბილად მიგიღებენ აღმზრდელი მწვრთნელები, გაგაცნობენ სპორტის საიდუმლოებებს... გავა რამდენიმე ხანი და, ვინ იცის, იქნებ თქვენზეც ალაპარაკდეს ყველა, იქნებ თქვენც გაიხაროთ, დიდ შეჯიბრებაში გაიმარჯვოთ.

ფოტო
ა. კოტორაშვილისა.

# რკინის ბიჭი

ირაკლი
კინწურაშვილი

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

ფანტასტიკური მოთხრობა

ეს ამბავი ისეთი ძველია, აღარავის ახსოვს, ისეთი ახალია, ყველას რომ სჭირდება ზღაპარი არ გეგონოთ. თუმცა მაინც ზღაპარივით დავიწყოთ:

იყო და არა იყო რა, სიცოცხლეზე და გონიერებაზე უკეთესი რა იქნებოდა. მაგრამ ეს უბრალო ჭეშმარიტება იმ დროს



ყველას როდი ესმოდა. მეფეები ძალაუფლებას, წარმოიდგინეთ, სიბრძნეზე მაღლაც კი აყენებდნენ:

— ნამდვილი მპყრობელისათვის მხოლოდ სურვილი არსებობს, სიბრძნე უსუსურთა საქმეაო.

ფილოსოფოსნი გულისტკივილით ეთანხმებოდნენ, სხვა რა გზა ჰქონდათ! გულში კი ფიქრობდნენ: „— აბა, კეთილი ინებე და მოისურვე, ეს კენჭი ჰაერში გაჩერდესო“. ფიქრობდნენ იდუმლად, ჭკუის სწავლებას ვინ გაუბედავდა ისეთ ტირანს, ადამიანის თავებისაგან სასახლე რომ ააგო. ეს ტირანი თემურ-ლენგი გახლდათ.

ერთხელ ნადიმობისას: — რის შეძენა არ შეიძლება ძალით?! — იკითხა ყაენმა. ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა. ყაენმა ნაზირ-ვეზირთა სიტყვებს ყურიც არ ათხოვა და ფილოსოფოსებს გადახედა. ბრძენმა ვარსკვლავთმრიცხველებმა იცოდნენ, მართლის თქმა ქვის მაღლა ასროლას და თავის შეშვერას ნიშნავდა, ტყუილიც არ გაუვიდოდათ. არც დუმილი შეიძლებოდა და საწყლებს სიმწრის ოფლი დადინდათ; აღარ იცოდნენ, რა წყალში ჩავარდნილიყვნენ.

— ცოდნისა! — მტკიცედ თქვა რომელიღაც მონამ. ეს მონა სამხედრო ტყვე იყო. ყაენი სამხედრო ტყვეებს ჯერ აშიმშილებდა, შემდეგ ნადიმზე დაისწრებდა და საჭმლის ნარჩენებს უყრიდა. ეს ტყვე არასოდეს არ ეკარებოდა ნასუფრალს, თუმცა შიმშილით ისე დასუსტებულიყო, ლანდი გასდიოდა.

— ცოდნას ძალით ვერ შეიძენ, თუ გონიერებაც არ მიახმარე!

ამ მონის საქციელი და თამამი აზრები აბრაზებდა ყაენს. მის შეუდრეკელ ხასიათში იმდენი თავისუფლება და ცოდნა მჟღავნდებოდა, ძნელი დასადგენი ხდებოდა, რომელს უფრო შეეფერებოდა დიდი ხურალის მბრძანებლის, ნამდვილად მზის შვილის წოდება — თემურ-ლენგს თუ ტყვეს.

მონის პასუხზე ფილოსოფოსნი მეხის გავარდნას მოელოდნენ, მაგრამ ყაენი არც ისეთი სულელი იყო; მას მრავალი ომი მოეგო, ეხლა კი გადაწყვიტა ამ ახირებულის ამაყი სული გაეტეხა.

— ისმენდე მონავ! მე დავაჩოქე მსოფლიო! ცოდნა მსოფლიოს ხალხებისა ძალით მოვიპოვე, არავის უჩუქნია. ამას ყოვლისმცოდნე ბრძენიცა და წინასწარმეტყველნიც ადასტურებენ.

— თავს ნუ ინუგეშებ, ყაენო, შენ ცარიელი ხარ და ეს გარდუვალობაა. ცოდნა უკვდავებაა; ცოდნის წიაღი ხალხია. შენ სპობ ხალხს. ხალხი მოსრავს შენს მომავალს. მე მოგცემდი უდიდეს ცოდნას, მაგრამ ეს ახალი უბედურება იქნებოდა კაცობრიობისათვის.

— ო, წყეულო! შენი ტყავიდან დოლსა და ქნარს მოვაჭიმვინებ, მაგ გოგრა თავიდან ფიალას გამოვათლევინებ, შიგ შარბათს ჩავასხამ და ძაღლებს ვათქვლეფინებ.

— სცდები, ყაენო. მე გავჩნდი ხვალ და ვერ დამსჯი დღეს. მე ვმოგზაურობ დროში, შენს დროში იმიტომ მოვედი, არ მეგონა ისეთი კაცთმოძულე თუ არსებობდა, როგორიც შენა ხარ. რაც შეეხება ცოდნას, მე დაგიტოვებ მას, მაგრამ შენ ვერ გამოიყენებ. აი, ცოდნის მთელი საგანძური:

უცნაურმა ადამიანმა ხელი გაიშვირა. ხელქვეშ ლითონის ბიჭი გაჩნდა.

— ეს შენი ბიჭის ტოლია. გაზარდე, ეს განაცვიფრებს მსოფლიოს. თუმცა შვილი შენი არაფერს არ ისწავლის მისგან.

ყაენი ბრაზით აენთო და თითები გაატკაცუნა. ტახტს უკან მდგარი ამალიდან ათამდე ისარმა გაიზუზუნა. მონას წარბიც კი არ შეუხრია. ჯავშნისმხვრეტელი ისრები მისი სხეულიდან ასხლტა. გაოგნებული მონადიმენი ხან რკინის ბიჭს უმზერდნენ, ხან სასწაულმოქმედს, რომელიც ნელ-ნელა გაქრა.

უცებ, ხმამაღალმა სიცილმა ყველა შეაკრთო. რკინის ბიჭი გაცოცხლდა. ჯერ ფილოსოფოსებს დაერია, წვერებზე დაეკიდა და საქანელასავით გაქანდა-გამოქანდა. შემდეგ ნაზირ-ვეზირებს თითო პანღური უთავაზა, მონებს თავზე გადაახტა და ყაენს კისერზე მოაჯდა.

— ზედგამოჭრილი ყაენის უმცროსი შვილის ხასიათისაა.

— ეგღა გვაკლდა. — უჩურჩულეს ერთმანეთს ფილოსოფოსებმა.

— მამაჩემო, მასწავლე ადამიანის თავის მოკვეთა, მომეცი ხმალი, — იყვირა რკინის ბიჭმა.

— იბრაგიმ ხან! — დაიძახა დაფეთებულმა ყაენმა.

კარის უპირველეს აღმზრდელსა და ფილოსოფოსს იბრაგიმ ხანს ფერი ეცვალა. შემდეგ მოწიწებით წარსდგა და თავი დახარა.

— წაიყვანე ეს ავი სულის მოციქული და ჩემს შვილთან ერთად გაზარდე!

წაიყვანა იბრაგიმ ხანმა ორივე ბიჭი. ალბათ მიხვდით, რკინის ბიჭი რობოტი იყო.

— ეი, იბრაგიმ! — დაიყვირა ყაენის შვილმა და ცხენს ქუსლი ჰკრა. ცხენზე ამხედრებული იბრაგიმი მთელი სისწრაფით მისდევდა რკინის ბიჭს, მაინც ვერ დაეწია. ბოლოს, ცხენიდან ჩამოხტა, გაოფლილ სახეზე წყალი შეისხა და მდინარის პირას ლოდზე ჩამოჯდა.

— იბრაგიმ! — დაუყვირა ყაენის შვილმა.

— მე შენი იბრაგიმი არა ვარ. უნდა თქვა: უხუცესო მასწავლებელო იბრაგიმ ხან!

ამ დროს რკინის ბიჭმა მოირბინა. ის ისე შორს იყო და ისე უცებ გაჩნდა მათთან, ორივე სახტად დარჩა.

— უხუცესო მასწავლებელო იბრაგიმ ხან, ხომ ვერ დამეწიე? — ამ სიტყვებზე რკინის ბიჭმა წიხლი ისე მაგრად უთავაზა, რომ იბრაგიმ ხანი წყალში გადავარდა. ჩალმა მოსძვრა და მელოტი თავი გამოუჩნდა. ონავრების ხარხარმა ფილოსოფოსი გააშმაგა, მაგრამ მოაგონდა, რომ ყაენის კარზე მეტი დამცირებაც აუტანია. შემდეგ გაახსენდა, რკინის ბიჭმა მაინც წესიერად მომმართაო. შეეჭვდა.

— მე რა მქვია, შე ავი სულის მოციქულო?!

— უხუცესი მასწავლებელი იბრაგიმ ხანი, — ფოლადის ხმითა და სიმტკიცით თქვა რკინის ბიჭმა.

იბრაგიმ ხანი ასეთ პასუხს არ მოელოდა; აბა, რკინის ბიჭს სახეზე როგორ შეატყობ, ხუმრობს თუ არა. მაგრამ ეს მაინც პირველი შემთხვევა იყო, მისი სიტყვა შესმენილი რომ იქნა

— მასწავლებელს არ უნდა გაარტყა, შენ გესმის?

— მე მესმის: „მასწავლებელს არ უნდა გაარტყა შენ გესმის?“

ფილოსოფოსი მიხვდა, რომ ვერ გაუგო რკინის ბიჭმა.

— აზრი თუ ამოხსენი ჩემი შეკითხვისა?

— უნდა გავარტყა. — ეს იმას ნიშნავდა, აზრიც ამოეხსნა. მასწავლებელი გაფითრდა.

— რატომ?

— მე ასე ვარ დაპროგრამირებული.

— მაშინ მე აღარ გასწავლი!

— ვერ ვაზროვნებ, ეს ლოგიკური კონცეპტორის* სუსტი მუშაობის ბრალია, უხუცესო მასწავლებელო იბრაგიმ ხან. ზურგზე თქვენ აღმოაჩენთ წარწერას „ლკ“, რომლის ქვეშ ვიწრო ხაზია. იმ ხაზში შეყავით ყაენის შვილის ხანჯლის წვერი და მარჯვნივ დაატრიალეთ, სანამ ხანჯლის პირი ცისკენ მოექცეოდეს.

მასწავლებელმა იპოვნა ის ხაზი და თხოვნა აუსრულა. რკინის ბიჭის სახეზე ინთებოდა და ქრებოდა ნათურები. ყაენის შვილიც და მასწავლებელიც დიდხანს უმზერდნენ ამ უცნაურ არსებას.

— ჩემი საქციელი ველურისას შეეფერებოდა. — უთხრა რკინის ბიჭმა. — არ ვიცი, რად დასჭირდათ ის ჩემს შემქმნელებს. თუ შეგიძლიათ, მაპატიეთ ყოველივე, უხუცესო მასწავლებელო იბრაგიმ ხან. თუ ვერ მაპატიებთ, მონახეთ ჩემს ზურგზე შავი წერტილი, შეუშვით შიგ წინდის ჩხირი და მე დავიშლები. თქვენებურად ეს სიკვდილს ნიშნავს.

იბრაგიმ ხანი მთელი სიცოცხლე მონღოლთა თავკაცების შვილებს ზრდიდა. რამდენი ტანჯვა გადაუტანია მათი უმსგავსო ნებივრობის წყალობით. ახლა ამ რკინის ბიჭის სიტყვებმა ისე განაცვიფრა, ისე ააღელვა, ისეთი საამო გრძნობა მოჰგვარა, თითქოს აღმზრდელის შეუფასებელ შრომას, მის ღვაწლს ოქროს გვირგვინი დაადგესო. ის მზად იყო დაეჩოქა ამ გონიერი რკინის კერპის წინაშე, მაგრამ უცებ ძლიერი ტკაცუნი ჩაესმა და თავის ქალა აეწვა. ეს ყაენის შვილმა მელოტ თავში ჩააფარა.

— გეყოფა ყბედობა, იბრაგიმ, წავიდეთ!

ყაენის შვილის საქციელმა რკინის ბიჭის სახეზე ყველა ნათურა ერთდროულად აანთო. იგი შებრუნდა და სადღაც გაქრა. მისი სხეული მდინარის ტალღებში დალანდეს. და აი, რკინის ბიჭმა ნაპირის წყნარი წყალი ამოარღვია. მდინარეს ჩალმა მოსტაცა, მოწიწებით დაახურა მასწავლებელს და ანთებული ნათურები გამორთო.

— წავიდეთ! — დაიყვირა ყაენის ბიჭმა და ცხენი მორევში შეაგდო.

— შეჩერდი! შეჩერდი, უფლისწულო, ფონზე გავიდეთ! — შესძახა იბრაგიმ ხანმა. — ო, ალაჰ, რა დაგიშავე! ამ უტვინოს ერთი ბეწვიც რომ დააკლდეს თავზე, ჩემს მოდგმას დედაბუდიანად ამობუგავს ყაენი.

შეშფოთებულ იბრაგიმს ხრეშის ხრაშუნი მოესმა, მიიხედა. რკინის ბიჭი უდიდესი სისწრაფით მიჰქროდა ტყისკენ. იბრაგიმმა ვეღარაფერი გაიგო, რა ხდებოდა. ცხენისკენ გაემართა. ცხენს ფაფარი აშლოდა, საბრალო ისე თრთოდა, თითქოს პატრონი კი არა, მტაცებელი მხეცი მიახლოებოდეს. ბოლოს ერთი დაიჭიხვინა და ისარივით გაჭარდა ველზე. ამდენი უბედურებით შეზარებულმა იბრაგიმმა თავში ხელები წაიშინა და ის-ის იყო თვითონაც მორევში უნდა გადავარდნილიყო, რომ ვეფხვის საზარელი ღრიალი მოესმა.

— ალაჰ! — ევედრებოდა ღმერთს იბრაგიმი. ახლა მისთვის სულ ერთი იყო, ვეფხვი დაგლეჯდა თუ მორევში დაიხრჩობოდა, მაგრამ ის, რაც მან დაინახა, ყოველგვარ მოლოდინს აღემატებოდა.

უზარმაზარი ვეფხვი შეშლილივით მორბოდა იბრაგიმისაკენ, ვეფხვზე რკინის ბიჭი ამხედრებულიყო და, ჰოი, საკვირველებავ, იბრაგიმმა დაინახა, როგორ გლეჯდა ნადირის ბეწვს რკინის ბიჭი. იბრაგიმ ხანთან სულ ახლოს ბიჭი ვეფხვიდან ჩამოხტა. ტკივილებისაგან გაცოფებულმა ვეფხვმა ტყეს მიაცა თავი.

— აი, უხუცესო მასწავლებელო იბრაგიმ ხან, მოვიტანე. — უთხრა რკინის ბიჭმა და ხელებში ჩამუჭული ვეფხვის ბეწვი გაუწოდა.

— თუ იმ უტვინოს თავზე ბეწვი დააკლდება, თქვენს მოდგმას დედაბუდიანად აღარ ამობუგავს ყაენი.

იბრაგიმმა აღარ იცოდა, განცვიფრებულიყო, გახარებოდა თუ სწყენოდა მოსწავლის გულუბრყვილო ერთგულება და სიმამაცე, მაგრამ მდინარიდან სასოწარკვეთილი ყვირილი რომ მოესმა, კვლავ თავისი უბედურება გაახსენდა.

— მიშველეთ!.. იბრაგიმ... ხრრ... ყლუპ... წვერებს დაგაგლეჯ... მიშვ...

— თქვენ რაღაც გაწუხებთ, უხუცესო მასწავლებელო იბ-

* კონცეპტორი — ლოგიკური დასკვნების შემკრები.



რაგიმ ხან?.. — იკითხა რკინის ბიჭმა. იბრაგიმს რკინის ბიჭის სიმამაცე რომ გაახსენდა, სახე გაუბრწყინდა.

— რკინის ბიჭო, ჩემო გონიერო შვილობილო, უშველე იმ რეგვენს!

— არა!

— რატომ?!

— ის რეგვენი წყალთან ჩხუბობს, ეს უაზრობაა.

იბრაგიმმა შენიშნა, რომ თხოვნა თუ დავალება ზუსტად უნდა ეთქვა.

— ამოათრიე წყლიდან და ხრეშზე დააგდე.

— არა!

— რატომ?

— მას ჩემი ზურგის შავ წერტილში ხანჯლის წვერის შეყოფა სურდა.

— ო, ალაჰ, რადა ვარ ცოცხალი! ეს თუ დაიხრჩო, მე თავს მომკვეთენ, ოკინის ბიჭო.

უცებ მდინარის ნაპირის სილა და ღორღი მასწავლებლის სახეს შეეყარა. მტვერი რომ გაწიავდა, მან დაინახა, როგორ ჩიტივით გაუქროლა ჰაერში მფრენმა რკინის ბიჭმა წყალწაღებულს, როგორ ჩაავლო თმებში ხელი, ზე აიტაცა და გაღმა ნაპირზე დააგდო.

ასეთი ფათერაკებით იყო სავსე მათი გზა სამარყანდიდან ინდოეთის ულამაზეს ქაშმირის ტაფობამდე, სადაც ცხოვრობდა იბრაგიმ ხანი. მაგრამ რკინის ბიჭი გაჭირვების ტალკვესი იყო, დაუზარელი და მოუღლელი, გამგონე და გონიერი.

იბრაგიმ ხანის სასახლეში ყაენის შვილმა ისეთი ორომტრიალი დააყენა, რომ ყველა დააფეთა. მთელი სოფლის ბიჭბუჭები შეყარა, ჯოხებითა და თვითნაკეთი მშვილდისრებით შეაიარაღა და დათარეშობდნენ აღმა-დაღმა, აწიოკებდნენ სოფლელებს. იბრაგიმ ხანმა აღარ იცოდა რა ცეცხლში ჩავარდნილიყო. მთელი დღის თარეშით მოქანცულს ღამე თუ მოიხელთებდა, ემუქრებოდა — დაგაბამო; ხან საჩუქრებით ცდილობდა მისი გულის მოგებას და გონს მოყვანას, უყვავებდა, ემუდარებოდა. ცდილობდა ძველი საბრძოლო ამბებით მოეხიბლა, უყვებოდა ალექსანდრე მაკედონელზე, რომაელთა ვაჟკაცობაზე, მსოფლიოს საოცრებებზე, ეგვიპტის პირამიდებზე თუ სფინქსებზე, სამხრეთ აფრიკის ოქროს მაძიებელ ჯუჯათა ტომებზე, ჯუნგლის ბინადართა ხასიათებზე, მსოფლიო წარღვნაზე და ბაბილონის კიდულ ბაღებზე. მაგრამ ამაო იყო ყოველივე ცდა, მის თავში არაფერი შედიოდა. სამაგიეროდ, რკინის ბიჭი უხარებდა გულს ხანსაც და მთელ სოფელსაც. რა სიბრძნე არ უნდა ესწავლებიათ მისთვის, რომ არ შეეგნო და ხალხის სამსახურში არ გამოეყენებინა.

— რკინის ბიჭო, — წამოიწყო იბრაგიმ ხანმა, — უშენოდ ვინ იცის ახლა რა ყოფაში ვიქნებოდით. შენ მთელ ცოდნასა და სიცოცხლეს ხალხს სწირავ. მითხარი, როგორია შენი პირადი სურვილები, შენი ოცნება? როგორები არიან შენი შემქმნელები?

იდგა მშვენიერი სამხრეთული ღამე, ცა მოჭედილიყო ზოდიაქოს ვარსკვლავებით, ნამაგალა მთვარე, გრილი ნიავი ამშვიდებდა მოხუც ბრძენთა ჩაფიქრებული სახეებს.

— ჩემი შემქმნელი ქვეყანა დედამიწაა, ადამიანია. დედამიწამ ათასჯერ უნდა შემოურბინოს მზეს, რომ დადგეს ჩემი ხანა. იმ ხანაში ადამიანი ადამიანობს. ადამიანი იბრძვის უკვდავებისათვის. — რკინის ბიჭი შეჩერდა. ჯუნგლისკენ შებ-

რუნდა. შემდეგ თვალთაგან სხივი რამ უცხო დააკვესა და ჩაბნელებულ ტყის ფონს შეაფრქვია. იქ უცნაური ნახატები აისახა. ყველამ დაინახა იბრაგიმ ხანის სასახლე, კარმიდამო, მახლობელი სოფლები, ჯუნგლები. შემდეგ — მთები, უდაბნოები სამარყანდი, მდინარეები, ტბები, ზღვები, მატერიკები, ოკეანე და ჰოი, საკვირველებავ, შავი, უძირო სივრცე და ამ სივრცეში ბურთივით მრგვალი რამ.

— ეს ბურთი დედამიწაა. — თქვა რკინის ბიჭმა. — ასეთია ის დღეს. მის ზედაპირზე მცხოვრები ადამიანები ბევრ უსამართლობას სჩადიან, უგუნურად ებრძვიან ერთმანეთს. აი, დედედამიწა ჩემს ხანაში, ათასი წლის შემდეგ. — პატარა ბურთი თანდათან გაიზარდა. ბურთის უკან რაღაც ამოცურდა. — ეს მთვარეა, ის კი, კიბორჩხალას რომ წააგავს, ხელოვნური მთვარეა, ადამიანის ხელით შექმნილი. ხედავთ, როგორ იზრდება ბურთი? აი, მოჩანს ნაზ, ცისფერ საბურველში გახვეული ოკეანეები, მატერიკები, მაგრამ ისინი ძველებურნი აღარ არიან. მიწაზე და წყალზე ამართულა თეთრი, მაღალი, მინისთაღებიანი სასახლეები, ცაში ვერცხლისფერი თევზები ფრენენ, ზოგი მათგანი დედამიწის ატმოსფეროს ჰკვეთს და შავ უსასრულობაში ინთქმება.

— ყოველ ამ ვერცხლისფერ სხეულში ან ადამიანია ან მისი გონება.—განაგრძო რკინის ბიჭმა.—ჩემმა შემქმნელმა ადამიანმა თავისი დიდი გონების მეტად მცირე ნაწილი მეც მიწილადა. ჩვენ, რკინის ადამიანები, ადამიანის სიკეთეზე ვოცნებობთ. ადამიანები ჩვენი დახმარებით ურთულეს ამოცანებსაც სწყვეტენ. ჩემი ოცნება ის იყო, ჩემთვის ოდნავ მეტი გრძნობა მოეცათ. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა, რადგან მაშინ მე თქვენი ჩაგვრისათვის შურს ვიძიებდი ყველა მოძალადეზე, რაც ისტორიის მსვლელობას დაარღვევდა.

რკინის ბიჭი დადუმდა. ოცნებაში წასული ფილოსოფოსნი დიდხანს უყურებდნენ ადამიანის შორეულ, მაგრამ დიად მომავალს.

უცებ ამაზრზენი კივილი მოისმა. მიიხედეს. ცეცხლის უზარმაზარი ენები ღამეს აცისკროვნებდა. დაინახეს, იბრაგიმ ხანის სასახლე იწვოდა. ყველანი იქით გაიქცნენ. მათ შესახვედრად კაბაშემოხეული, თმაგაწეწილი და დასისხლიანებული ქალი მორბოდა.

— ყაენის შვილმა სასახლის სვეტებზე გააკრა ყველა, თვით ხანის მეუღლეც. სასახლეს ცეცხლი წაუკიდა და სადღაც გაქრა.

იბრაგიმ ხანს რამდენიმე კაცი ძლივს აკავებს. სასახლეში დარჩენილთა შველაზე ფიქრიც ზედმეტია. ცეცხლი ჯერ მთელ სოფელს მოედო, შემდეგ ჯუნგლში გადავიდა, საზარელი სანახაობაა. ცას სწვდება ლტოლვილთა გოდება. ხალხი გაურბის გავარვარებულ ჰაერს. ადამიანები და ჯუნგლიდან გამოვარდნილი მხეცები მდინარეში ეძებენ ხსნას. ხალხი და ცხოველები ერთად მიაქვს დინებას. ხმელი ჯუნგლი ტკაცუნებს. ალი ფეხდაფეხ მისდევს ლტოლვილებს. იბრაგიმ ხანმა იცის, რომ ცეცხლი გადაასწრებს გაქცეულებს, დაიღუპება მთელი სოფელი, ამიტომ ტრიალ ადგილს ეძებს. აი დაინახა კიდეც, იქით წაიყვანა ხალხი. იმ ადგილს ყოველი მხრიდან შემოერტყა ცეცხლის ალი. ადამიანები წრიულად გლეჯენ ბალახსა და ბუჩქნარს, გლეჯენ ხელებით, კბილებით. ცეცხლმა წრეში ვეღარ შეაღწია. იბრაგიმ ხანმა აღარავინ ჩაუშვა მდინარეში. მდინარე დუღს, ქვემოთ კი საშინელი ჩანჩქერები და მორევები ელის მსხვერპლს.

როგორც იქნა, ჩაქრა ცეცხლი. მთელი ღამის სირბილითა და ჯაფით დაქანცულებს მკვდრებივით ჩაეძინათ გადატრუსულ ველზე. დილის გრილმა ნიავმა თავისი გაიტანა, — შეიშმუშნენ მძინარენი, წამოდგნენ. მკვდრეთით აღმდგრებს გვანან, დამწვრები და დასისხლიანებულნი.

იბრაგიმ ხანს ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მოაგონდა, რომ არსად ჩანდა არც სისხლისმსმელი ყაენის შვილი და არც რკინის ბიჭი. მოაგონდა, როგორ შევარდა ცეცხლში რკინის შვილობილი. რა მოხდა მერე?

სულ ახლოს გრგვინვისებურმა ხმამ იჭექა, შემდეგ ლითონის ღრჭიალ-ზრიალი გაისმა. ამ ხმამ იბრაგიმს საბოლოოდ დაუბრუნა ცნობიერება. აეწია დამწვარი და დასერილი სხეული. ხალხის ჩოჩქოლზე თავს ძალა დაატანა და წამოდგა.

თითქმის შიშველი ხალხი განიერ ნახევარრკალად იდგა მის წინ. რამდენიმე კაცს მაგრად ეჭირა ყაენის შვილი, მას სახეზე უდარდელი ღიმილი შერჩენოდა. იბრაგიმის გვერდით მისი მეუღლის ნახევრად-დამწვარი გვამი რკინის ხელებზე ესვენა. ხელების მეტი რკინის ბიჭისა არაფერი ჩანდა. ამდენი ჯოჯოხეთური განც-



დით არეულ იბრაგიმს ყოველივე ეს საშინელი სიზმარი ეგონა, მაგრამ ხალხის ჩოჩქოლი სინამდვილის საშინელებას მოწმობდა. იბრაგიმ ხანმა გაფართოებული, გიჟური თვალებით მიმოიხედა და... აი, ხუთიოდე ნაბიჯზე რკინის ფეხი, ზურგის ნაწილები, წვრილად დაშლილი რკინის გროვაა... ხანმა ნაბიჯი გადადგა და მაშინვე მიხვდა, რაც მომხდარიყო.

რკინის შვილობილს ხანის მეუღლის გვამი მოუტანია, მძინარე იბრაგიმის გვერდზე დაუსვენებია და სწორედ ამ დროს, რკინის ბიჭის ზურგზე შავ წერტილში, ხანჯლის წვერი გაუყრია ყაენის შვილს.

ხანი უსიცოცხლოდ ჩაიკეცა.

— ჩაქოლეთ ეს გველის წიწილი! — იღრიალა ხალხმა. ყველა ერთად შეჯგუფდა, ყოველი მათგანი ცდილობდა ერთი მაინც ჩაერტყა არამზადისათვის. სულ მალე ყაენის შვილისაგან ნაწილ-ნაწილად დაგლეჯილი სხეულიღა დარჩა.

ამის შემდეგ მე ისღა ვიცი, რაც გონებამიხდილ იბრაგიმ ხანს ელანდებოდა:

ყაენის მოთარეშეებმა იბრაგიმი ურემზე დააკრეს და გზას გაუყენეს. სამარყანდი ნაღარების ხამგლოვიარო ბღავილს გაეყრუებინა. თავის ქალებისაგან აგებული კოშკის წინ ეშაფოტი აეგოთ.

„ნეტა ვის უნდა მოჰკვეთონ თავი?“ — გაიფიქრა იბრაგიმმა.

ყაენის თვალებმა ელვა დააკვესა და იბრაგიმმა სისხლის სუნი იგრძნო.

„ცოდნა განძია, ლანგო ყაენო, ცეცხლითა და მახვილით ვერ მოიპოვებ. რა მშვენიერია სიცოცხლე, ცისფერი უსაზღვროება! ცაში ვერცხლისფერი თევზები ფრენენ. პურის ოქროსთავთავიანი ყანები ოკეანიდან ოკეანემდე გადაშლილა“.

ჯალათის ნაჯახი აღიმართა. „რკინის შვილობილო, მიშველე!“ იბრაგიმის თვალებს ცისფერი მშვენიერება დანათის, ვიღაც უღიმის. ძლივს შეიცნო. „ეს ხომ ის მონაა, სამხედრო ტყვე! ისეთივე ტანსაცმელი აცვია, როგორიც ვერცხლისფერი მფრინავი თევზია“. ხალხის გმინვა ჩაესმა. „ეს ნამდვილად იმ მონის თვალებია, მოსიყვარულე, სიბრძნით სავსე“.

— „შენ ღმერთი ხარ, ადამიანო?“

— „არა! ღმერთი ცოდნაა, ბრძენო მასწავლებელო იბრაგიმ ხან!“

„შენ რკინის შვილობილივით მომმართავ, ადამიანო, ალაჰის სწორო ადამიანო!“

„აი, ჩვენი ქვეყანა. ის ცოდნამ და ადამიანის ხელებმა ააგო. ჩვენს ქვეყანაში მრავალი რკინის ადამიანი შრომობს. შავი წერტილი რკინის ბიჭის ზურგზე იმიტომ გავაკეთე, რომ ყაენის უმეცრებას საკუთარი ხელით მოესპო საკუთარი ბედნიერება, ცოდნის უდიდესი მონაპოვარი. ყაენი არ იყო ღირსი ცოდნის მონაპოვარისა, რკინის ბიჭისა, უხუცესო მასწავლებელო“.

რკინის ბიჭის ხსენებაზე იბრაგიმ ხანს თვალები ცრემლით აევსო...



# სპილო-მელომანი

**იური ჩიქოვანი**

არცთუ დიდი ხნის წინათ რამდენიმე მუსიკოსმა კონცერტი გამართა, რომლის მსმენელები მარტო სპილოები გახლდნენ.

არია „ო, ჩემო ნაზო გუდა-სტვირო!“ (სოლო ვიოლინოზე) მოეწონათ მსმენელებს. ბოკერინის ერთ-ერთი კვარტეტი რომ სრულდებოდა (მუსიკოსებს იგი ძალიან მოსწონთ), სპილოებმა მთქნარება დაიწყეს; სამაგიეროდ, „მშვენიერი გაბრიელა“ აღტაცებით მოისმინეს: დინჯად, მუსიკის ტაქტზე აბარტყუნებდნენ ვეებერთელა ყურებს, ხორთუმს იქნევდნენ და გაჰყვიროდნენ.

გამოირკვა, რომ სპილოები დაბალ ხმებს ბასისა და ბუკის მაღალ ხმებს ამჯობინებდნენ, მელოდია — ჰარმონიული მოსწონდათ.

ოთხფეხა მელომანებმა* მაესტრო დუვერნუას (რომელიც დიდხანს უკრავდა ბუკს) თავისებური ოვაცია გაუმართეს: ტანზე ხორთუმები შემოხვიეს, თითქოს ეალერსებიან და მადლობას უხდიანო.

მოქმედებს თუ არა მუსიკა ცხოველებზე? აქვთ თუ არა მათ, ოდნავ მაინც, მუსიკალური გემოვნება? ხომ ვერ შეძლებს სპილო ერთი მელოდიის გარჩევას მეორისაგან?

მეცნიერულად თუ შეამოწმეს სპილოს მუსიკალურობა? დიახ, შეამოწმეს. 1955 წელს რენშმა და რაინერტმა მიუნსტერის (ვესტფალია) ზოოლოგიურ ინსტიტუტში ჩაატარეს ცდები ინდურ სპილოებზე.

ჯერ სცადეს გაეგოთ, განასხვავებენ თუ არა ეს ცხოველები ცალკეულ ტონებს ერთიმეორისაგან.

დაიწყეს ორი წმინდა ტონით. ერთი დადებითი სტიმულის ტონი იყო, მეორე — უარყოფითისა. ავხსნათ ეს სიტყვები.

სპილოებს პირობითი რეფლექსების მეთოდით წვრთნიდნენ. დადებით ტონს რომ გაიგონებდა, სპილო ტიხარში ხორთუმს გაჰყოფდა ხოლმე და საგანგებო ყუთის სახურავზე ურტყამდა. ამ დროს საგანგებო მოწყობილობა ამუშავდებოდა და სპილოსკენ პურის ნაჭერს გამოაცოცებდა. ეს იყო მისი შრომის საფასური.

მაგრამ აი, უარყოფითი ტონი გაისმის. სპილო არც კი იძვრის. მან იცის, რომ ამჯერად პირის ჩასატკბარუნებელს ვერ მიიღებს.

თანდათანობით სპილოებმა ექვსი წყვილი ტონი დაისწავლეს. თვითეული სპილო ყველა თორმეტ ტონს ცნობდა, ახსოვდა მათი დადებითი თუ უარყოფითი მნიშვნელობა. აღმოჩნდა, რომ ამ

---

* მელომანი — მუსიკის, სიმღერის დიდი მოყვარული.

ცხოველს დიდებული სმენა ჰქონია; ასევე — მახსოვრობაც: ნახევარი წლის შემდეგ სპილო უშეცდომოდ იმეორებდა მთელ თავის მუსიკალურ პროგრამას.

სპილოს უდავო მუსიკალურობამ მეცნიერები დააინტერესა. გადაწყვიტეს განეგრძოთ ცდები. მაგალითად, შეუძლია თუ არა სპილოს რომელიმე მოკლე, თუნდაც პრიმიტიული მელოდიის დახსომება?

აქ მკვლევარები კურიოზულ პრობლემას წააწყდნენ: საჭირო გახდა სპილოსათვის განსაკუთრებული მელოდიების შეთხზვა, თანაც ეს მელოდიები ძალზე მარტივი უნდა ყოფილიყო. და აი, რა მოიგონეს: შეთხზეს პლუს და მინუს-მელოდიები. ყოველ პლუს-მელოდიას რაიმე სასუსნავი მოსდევდა. აბა, რა აზრი აქვს მუსიკის მოსმენას, თუ ყელს ვერ ჩაიკოკლოზინებ!

პლუს-მელოდია სამი ნოტისაგან შედგებოდა: პირველი ნოტი ნებისმიერი იყო, მეორე — პირველზე მაღალი, მესამე — მეორეზე დაბალი. მაგალითად



დო-სი-ფა. როგორც ხედავთ, ნოტების ანბანის ყველა მცოდნეს შეუძლია სპილოსთვის მუსიკის შეთხზვა.

მინუს-მელოდიაც სამ ნოტს აერთიანებდა, ოღონდ მუსიკალური ბგერების თანმიმდევრობა აქ პირიქით იყო: მეორე ტონი — პირველზე დაბალი, მესამე — პირველზე მაღალი, ვთქვათ ასე: ,,სი-დო-რე“.

სპილომ ორივე მელოდია დაისწავლა და ერთმანეთში არასოდეს ეშლებოდა. ისე კი, პლუს-მელოდია გაცილებით უფრო მოსწონდა! შემდეგ მკვლევარებმა ხმის ტემბრის გადასმა-გადმოსმა დაიწყეს, ცალკეულ მელოდიებს ხან აამაღლებდნენ, ხან დაადაბლებდნენ. მაგრამ, ნურას უკაცრავად, სპილოს იოლად ვერ მოატყუებ! იგი მელოდიებს ერთიმეორისაგან მაინც ადვილად არჩევდა.

შეიძლება თუ არა სპილოსათვის განკუთვნილ მელოდიას მუსიკა ვუწოდოთ? ეს საკითხი სადავოა. მაგრამ სპილოს ერთგვარი მცირე მუსიკალური ნიჭი რომ აქვს, ამის უარყოფა არ შეიძლება.

აქვთ თუ არა ცხოველებს რიტმის გრძნობა?

არისტოტელე მოგვითხრობს: სიბარიტები თავიანთ ცხენებს ფლეიტის ხმაზე ცეკვას ასწავლიდნენ. ეს თავშექცევა მათ ძვირად დაუჯდათ. მათმა მტრებმა კროტონელებმა ისარგებლეს ამ ამბით ბრძოლის დროს: როცა სიბარიტ მხედრებს იერიშზე გადასვლა უნდოდათ, კროტონელებმა ფლეიტები აახმიანეს. ამ ხმას მიჩვეულმა ცხენებმა ცეკვა დაიწყეს, იმის მაგიერ, რომ წინ გაჭრილიყვნენ.

კიდევ ერთი მაგალითი.

ერთხელ რომის იმპერატორმა დომიციანემ დიდი ზეიმის მოწყობა გადაწყვიტა. მისი ბრძანებით, რამდენიმე სპილო უნდა გაეწვრთნათ — საბალეტო ნომრები შეესწავლებინათ. სქელკანიან მოცეკვავეებს საკმაოდ რთული პა და ფიგურები უნდა შეესრულებინათ. ერთ-ერთ მათგანს არაფერი არ გამოუდიოდა. იგი გაჯოხეს, რაკი ასეთი უგერგილო ხარ და გაკვეთილი ვერ დაიზუთხეო. და აი, რას ჰყვებიან: ეს მსახიობი, მთვარიან ღამეში, განმარტოებით, საკუთარი ინიციატივით, გულმოდგინედ გადიოდა თავისი გაკვეთილის რეპეტიციას...

მაგრამ ეს მაინც ძველი ამბავია. მივმართოთ ჩვენი დროის ავტორიტეტებს.

წინათ პროფესიონალი მუსიკოსი ლეონარდ ვილიამსი ამჟამად იკვლევს მასთან თითქმის ბუნებრივ პირობებში მცხოვრები მაიმუნების ქცევებს. მისი აზრით, მაიმუნის მუსიკალურ ნიჭზე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ არ გესმოდეს მუსიკის ჭეშმარიტი ბუნება. მუსიკის შეგრძნება მხოლოდ ადამიანს შეუძლიაო, ამტკიცებს ვილიამსი.

ამ მტკიცებას ცირკის მწვრთნელებმაც დაუჭირეს მხარი: მაიმუნებს რიტმის ნამდვილი გრძნობა მართლაც არა აქვთო. მწვრთნელი რუდი ლენცი ჰყვებოდა: მე მყავს დასი შიმპანზეებისა, რომლებიც ,,ჯაზ-ორკესტრის“ სცენას თამაშობენ. ისინი დიდი გულმოდგინებით მუშაობენ, ყველაფრით ეტყობათ, დიდ კმაყოფილებას რომ გრძნობენ: აღგზნებულნი არიან, ფეხებს ატყაპუნებენ, დასარტყამ საკრავებს ახმიანებენ. მაგრამ მუსიკალური ნომრებისათვის გაწვრთნილი ოცდაათი შიმპანზედან ერთსაც კი არასოდეს გამოუმჟღავნებია თუნდაც მცირე რიტმული ნიჭი თვით ისეთი უბრალო ნომრის შესრულების დროსაც, როგორიც გახლავთ ბარაბანზე თანაბარზომიერი კაკუნი.

მაიმუნების რიტმული ნიჭი ყველაზე იშვიათად მაშინ ვლინდებოდა, როცა მათ ნელ რიტმს ასწავლიდნენ. მუსიკალურობა ამ დროს განსაკუთრებულად არის საჭირო. ეს კარგად მოეხსენებათ მუსიკის მასწავლებლებს, რომლებიც საშუალო სმენის ბავშვებს ასწავლიან. დამწყები მუსიკოსები ტემპს ხელად აუჩქარებენ ხოლმე.

მაინც, რაც არ უნდა იყოს, ცხოველები მუსიკის მიმართ არ არიან გულგრილნი. მრავალი ექსპერიმენტით დამტკიცდა, რომ განა მარტო იზიდავს მუსიკა ცხოველებს, მათ ქცევებზეც ახდენს გავლენას.

თუ დაფიქრებულხართ, რატომ ვმღერით ხოლმე? იმიტომ, რომ მუსიკალურები ვართ? არაფერიც! ხომ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ხმა

სრულებით არა აქვთ, და ისეთებიც, სმენის ნატამალი რომ არ გააჩნიათ? ამღერებისათვის სრულყოფილი სმენა კი არ არის მთავარი, არამედ — ემოციურობის ნიჭი, გრძნობათა სიმდიდრე, სულიერი სიახალგაზრდავე...

ასევეა ცხოველებშიც. ბევრი მათგანი სრულიად უმიზნოდ ყვირის, ბღავის თუ ღრიალებს, მაგრამ საკუთარი ხმის გაგონება მას უთუოდ სიამოვნებას ანიჭებს.

კარლ მოორი წიგნში „ცხოველთა თამაშობები" იგონებს: ჩემს მეგობარს პუდელი ჰყავდა. როცა პატრონი მღეროდა, პუდელი ხმას ააყოლებდა, თანაც, მელოდიის მიხედვით, ხან ხმამაღლა აყმუვლდებოდა, ხან კიდევ — ხმადაბლა.

მწვრთნელების აზრით, ცხოველები აუცილებლად მუსიკის თანხლებით უნდა იწვრთნებოდნენ. მუსიკა მათზე კეთილად მოქმედებს — ამხიარულებს და მხნეობას ჰმატებსო.

დათვი, ცხენი, სპილო და ძაღლი ყველაზე მომთხოვნი მელომანები არიან. მათ წყნარი მუსიკა ვერ აცეკვებს. ისინი ხმამაღლა აჟღერებულ ორკესტრს მოითხოვენ.

მაიმუნი და თუთიყუში კი ყოველგვარ მუსიკას სჯერდებიან, ოღონდ ხმაურიანი იყოს.

მაგრამ თურმე მაიმუნიც არის და მაიმუნიც. მაშ, მოდი მოვუსმინოთ მომღერალ... ორანგუტანგს.

მღერის მხოლოდდამხოლოდ ხვადი ორანგუტანგი. სიმღერისთვის რომ ემზადება, იგი მცირე ხანს ჩაფიქრებულია, მერე ხმას ისინჯავს, ბოლოს კი მთელი ხმით ამღერდება. ამ დროს ორანგუტანგი ძალიან კმაყოფილი ჩანს. საერთოდ, ცხოველი მხოლოდ თავისი სიამოვნებისათვის მღერის.

„იუნი ნატურალისტი".





## ესტაფეტა ჩოგბურთით

შაიბიანმა და ბალახის ჰოკეიმ სულ უფრო და უფრო მოიკიდა ფეხი ახალგაზრდობაში. ეს თამაში



თავათაც საინტერესოა და ამასთან დიდად უწყობს ხელს ჰოკეის თამაშში დაოსტატებას.

მინდვრად ერთმანეთისაგან 1,5-2 მეტრის დაცილებით იდგმება 10-12 დროშა ან ხის ძელაკი.

ჩოგანშემართული ორი მოთამაშე ერთდროულად დაიძვრება ადგილიდან. მარჯვნივ მდგომი ბურთს ჩოგნით მარცხნივ მდგომს აძლევს ისე, რომ ბურთმა დროშებს შორის დიაგონალურად გაიაროს და მეორე მოთამაშემდე მიაღწიოს. ახლა ეს უკანასკნელი ჩააწვდის ასევე დიაგონალურად დროშებს შორის. თავში რომ გავლენ, ჩოგნებს თავ-თავიანთი გუნდის წევრებს გადასცემენ და მერე ისინი განაგრძობენ თამაშს. გამარჯვებული ის იქნება, ვისი გუნდიც არ წააქცევს ან ნაკლებჯერ შეეხება ბურთით დროშას.

## კედელბურთი

ჩვეულებრივი ფრენბურთის თამაშისას ორივე გუნდი ერთმანეთს ხედავს და კონტრზომებს იღებს, კედელბურთში კი მოასპარეზე გუნდები ერთმანეთს ვერ ხედავენ. მოედანი ბადით კი არ არის გადატიხრული, არამედ მუყაოთი, ან რაიმე შუქგაუმტარი საგნით. მხოლოდ კოშკურაზე მდგომი მსაჯი ხედავს ორივე გუნდს, მოთამაშეთა მოქმედებას. იგი განსაზღვრავს სწორად მიმდინარეობს თუ არა თამაში და არღვევენ თუ არა მოთამაშენი წესებს. კედელბურთი ჩვეულებრივი ფრენბურთის წესით ტარდება, მაგრამ გაუმჭვირვალე წინაღობა, გუნდებს ურთიერთისაგან რომ ჰყოფს, ბევრად ართულებს, მოულოდნელობებით ავსებს ხდის ამ თამაშს და თანაც სიცილის და მხიარულების ბევრ საბაბს იძლევა.



# ოქროს კუნძული

ჩინური ზღაპარი

ერთ სოფელში ღარიბი გლეხი ცხოვრობდა, სახელად უ დე-ჩუის ეძახდნენ. თესვის დრომ რომ მოაწია, მდიდარ მეზობელთან მივიდა და სთხოვა, ცოტა სათესლე მასესხეო. მაგრამ ნათქვამია: „მდიდრის ჯამში ლუკმა არ დასველდებაო".

მდიდარმა მისი თხოვნა რომ მოისმინა, უთხრა: ხვალ მოდი და ერთ ქოთან ჩუმიზას* გასესხებ, შენ კი შემოდგომაზე ორი ქოთანი დამიბრუნეო.

ღარიბმა მადლობა გადაუხადა და



შინ გახარებული წავიდა. მდიდარმა ცოლს უთხრა: ერთი ქოთანი გადასაყრელი ჩუმიზა რომ გვაქვს ის მოხარშე, ზემოდან ერთი ნედლი მარცვალი დაადე და მიეციო.

მეორე დღეს ღარიბმა მდიდარს ერთი ქოთანი ჩუმიზა გამოართვა, წაიღო და დათესა. დრო გადიოდა, ნათესი კი არ ამოდიოდა. ის ერთადერთი ნედლი მარცვალი კი ამოიწვერა.

დილიდან დაღამებამდე თავს დასტრიალებდა უ დე-ჩუი ამ ერთადერთ ღეროს, რწყავდა, ბარავდა, იცავდა სეტყვისა და ქარისაგან. ღარიბის გასახარად ამ ღერომ თავთავი გაიკეთა.

დადგა მკის დროც. მივიდა ღარიბი ყანაში და რას ხედავს: ღერო გადატეხილა, ზედ ერთი დიდი ფრინველი შემომჯდარა და თავთავს კენკავს. ატირდა უ დე-ჩუი.

— არა გრცხვენია, ამ თავთავის მეტი არა მაბადია რა და ამასაც შენ მიკენკავო?!

ფრინველმა მიუგო:

— ნუ ნაღვლობ! სამაგიეროდ ჩემზე იყოს. ზურგზე შემომაჯექ და ხელები მაგრად ჩამჭიდეო.

შეაჯდა უ დე-ჩუი ფრინველს ზურგზე და ხელები კისერზე შემოხვია.

ფრინველი ჰაერში აფრინდა და დასავლეთისაკენ გასწია.

კარგა ხანს მიფრინავდნენ. ბოლოს უ დე-ჩუიმ ქვემოთ უსასრულო ოკეანე დაინახა, შიგ შუა ოკეანეში პატარა კუნძული მოჩანდა. ფრინველი სწორედ ამ კუნძულისაკენ მიფრინავდა. ბოლოს ფრინველი ნელ-ნელა ძირს დაეშვა და ღარიბმაც მიწაზე დადგა ფეხი. უ დე-ჩუიმ მიიხედ-მოიხედა და რას ხედავს: მთელი ნაპირი ოქროს ქვიშითაა დაფარული.

— აი, ეს მთელი ოქრო შენია. წაიღე რამდენიც გინდა! — უთხრა ფრინველმა.

— გმადლობ, კეთილო ფრინველო, შენს სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ, — მადლობა უთხრა ღარიბმა და ჯიბეებში ოქროს ქვიშა ჩაიყარა,— ახლა კი ისევ ჩემს ქოხთან მიმიყვანე.

გაუკვირდა ფრინველს:

— ეგრე ცოტა რად მიგაქვს, იცოდე, მეორედ აქ აღარავინ მოგიყვანს.

— საკმარისია, — მიუგო უ დე-ჩუიმ, — ეს ოქრო, რაც ჩვენს სოფელში ღარიბები ვართ, ყველას გვეყოფა.

— როგორც გენებოს! — მიუგო ფრინველმა, — ზურგზე შემომაჯექ და ხელები მაგრად ჩამჭიდე.

ღარიბი ისევ შემოაჯდა ფრინველს ზურგზე. მკლავები კისერზე შემოხვია და სოფლისაკენ გაფრინდნენ.

ღამე, როცა ყველას ეძინა, ფრინველი პირდაპირ უ დე-ჩუის ფანზასთან** დაეშვა. დილით, ადგა თუ არა უ დე-ჩუიმ სოფლის ყველა ღარიბი იხმო და თითო მუჭა ოქრო ჩამოურიგა.

ეს ამბავი მდიდარმა რომ გაიგო, უ დე-ჩუისთან მივიდა და ჰკითხა, ამდენი ოქრო სად იშოვნეო. ღარიბს თავის სიცოცხლეში ტყუილი არ ეთქვა და მდიდარსაც გულახდილად უამბო, როგორც იშოვა ოქრო.

მდიდარი შინ გაიქცა და ცოლს ყვირილით უბრძანა: ახლავე ერთი ქოთანი ჩუმიზა მომიხარშეო!

მოხარშა მდიდრის ცოლმა ერთი ქოთანი ჩუმიზა, ზემოდან ერთი ნედლი მარცვალი დაადო და მდიდარმა მინდვრისაკენ გასწია.

მალე ნედლი მარცვალი მიწიდან ერთ პატარა, მწვანე ღეროდ ამოიწვერა. ჩქარა იზრდებოდა, ბოლოს თავთავიც გაიკეთა. დადგა მკის დროც.

მდიდარმა ორი ტომარა ერთმანეთს გადააბა და ყანისაკენ გასწია. ამის შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ღარიბმა უამბო. მივიდა მდიდარი ყანაში და რას ხედავს, ღერო გადატეხილა და თავთავს დიდი ფრინველი კენკავს.

მიეპარა მდიდარი ფრინველს, სტაცა ხელი ფრთებზე და დაუყვირა:

— ახლა ხომ ჩამივარდი ხელთ, ოქროს კუნძულზე წამიყვანე, თორემ ამ ფრთებს დაგაგლეჯ.

ფრინველმა მიუგო:

— კარგი, წაგიყვან, ზურგზე შემაჯექ და გავფრინდეთ.

აბობღდა მდიდარი ფრინველს ზურგზე, მოხვია ხელები კისერზე და გაფრინდნენ.

დიდხანს მიფრინავდა ფრინველი, ბოლოს ოქროს კუნძულზე დაეშვა. მდიდარმა ოქროს ქვიშის მთები რომ დაინახა, ყველაფერი დაავიწყდა ამ-

* ჩუმიზა — პურის მარცვალი.

** ფანზა — ქოხი.



ქვეყნად. აიღო ტომარა და ყრის და ყრის შიგ ოქროს. ერთი ტომარა რომ გაავსო, ახლა მეორე მოიმარჯვა.

ფრინველმა უთხრა:

— ნუ ხარბობ, შორი გზა გვაქვს გასავლელი, მძიმე ტვირთით ფრენა გამიჭირდება.

მდიდარმა ყურიც არ ათხოვა ფრინველის გაფრთხილებას, მეორე ტომარაც პირთამდე აავსო, ჯიბეებიც მაგრად გამოიტენა.

ფრინველმა ისევ სთხოვა:

— ნუ ხარბობ, შორი გზა გვაქვს გასავლელი, მძიმე ტვირთით ოკეანეს ვერ გადავუფრენ.

მდიდარმა ახლა ოქროს ორი დიდი ზოდი დაინახა და სიხარბისაგან სულ დაკარგა გონება. ასწია ზოდები, მაგრამ სად ჩატიოს, ტომრები სიმძიმისაგან ლამის დასკდეს. ადგა, თოკით შეჰკრა ძვირფასი განძი და კისერზე ჩამოიკიდა.

მესამეჯერაც გააფრთხილა ფრინველმა, მაგრამ მდიდარი მარდად შემოაჯდა ფრინველს ზურგზე და ფეხები მაგრად შემოუჭირა, რომ ძირს არ ჩამოვარდნილიყო. კისერზე ხელს ველარ შემოავლებდა, მარცხენა ხელში ერთი ტომარა ეჭირა, მარჯვენაში—მეორე, კისერზე კი ორი ოქროს ზოდი ჰქონდა ჩამოკიდებული. ფრინველმა ფრთები გაშალა, ჰაერში აიჭრა და გაფრინდა. მდიდარმა, ოკეანის აზვირთებული ტალღების შემხედვარემ, შიშისაგან უფრო მაგრად შემოუჭირა მუხლები ფრინველს.

— ფრენა მიჭირს, ერთი ტომარა გადაგდე, — უთხრა ფრინველმა.

— ვერა, ვერ გადავაგდებ, იფრინე, იფირნე! — დაუყვირა მდიდარმა.

ფრინველმა რამდენჯერმე კიდევ შეარხია ფრთები და სთხოვა — ეგ ტომარა ზღვაში გადააგდე, ღონე მეცლებაო.

— სულელო, ჭკუა ხომ არ დაგიკარგავს! — დაუღრიალა მდიდარმა. — ჩქარა გაფრინდი, ნაპირამდე ერთი ლიც კი არ დარჩა.

მაგრამ ფრინველი თანდათან დაბლა ეშვებოდა, ოქროს მძიმე ტვირთით მაღლა ვერ ადიოდა. ბოლოს ზღვაში ჩავარდა. მდიდარი ამაოდ ცდილობდა თავის გადარჩენას. ორივე ტომარას ხელი უშვა, მაგრამ ოქროს ზოდებმა ოკეანეში ჩაძირეს.

ასე დაღუპა სიხარბემ მდიდარი.

ფრინველი კი ზედაპირზე ამოტივტივდა, ლაღად შეიფრთხიალა და ჰაერში შეჰკრა კამარა.

თარგმნა ანა ნემსაძემ.

მხატვარი
გ. ფოცხიშვილი.

# სასარგებლო: რჩევა-დარიგებანი

სამუშაოს თავიდანვე ფიცხად ნუ შეუტევ. მუშაობაში თანდათან უნდა გახურდე.

როცა სამუშაო მძიმეა, ჯერ მსუბუქად მოკიდე მას ხელი, შემდეგ კი—მთელი ძალით.

ნუ იმუშავებ არაქათის გამოცლამდე.

თანაზომიერად შეისვენე ხოლმე.

მუშაობის დროს ნურც ჭამ ნურც სვამ. ჭამე და დალიე შესვენების დროს.

ნუ მოსწყდები სამუშაოს სხვა საქმის გულისთვის.

თანაბრად იმუშავე: იერიშ-იერიშით, სიფიცხით მუშაობა ნამუშევარსაც გაგიფუჭებს და გუნებასაც.

თუ სამუშაოს თავს ვერ აბამ, ნუ ინერვიულებ: შეისვენე, დამშვიდდი და კვლავ შეუდექი მუშაობას.

თუ სამუშაოს კარგად შეასრულებ, ნუ დაიწყებ ტრაბახს, ნუ ჩქარობ შენი ნახელავი მალე ნახოს სხვამ. სჯობს მოითმინო.

რაც არ უნდა გაგიჭირდეს, ეცადე შენი გასაკეთებელი სამუშაო იოლ საქმედ მიიჩნიო.

მუშაობას რომ დაამთავრებ, სამუშაო ადგილი სრულ წესრიგზე მოიყვანე და იქაურობა დაასუფთავე.

## ჩვენი წარსულიდან

# „ტურა ქაიხოსრო"

„ტურა ქაიხოსრო" ზედმეტი სახელია სახალხო გმირის — ქაიხოსრო რამაზის ძე ვაჩნაძისა, რომელიც კახეთის სოფელ ვაჩნაძიანის მკვიდრი იყო. იგი აქ დაიბადა და აქვე აღიზარდა. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს და განსაკუთრებით კახეთს ლეკებისაგან მოსვენება არა ჰქონდა. პატარა ქაიხოსრო გმირული სულით აღსავსე ოჯახში აღიზარდა. მისი მამა-პაპანი თავდადებით იცავდნენ სამშობლოს მტრისაგან. ჭაბუკი ქაიხოსრო მამაცობითა და გულადობით გამოირჩეოდა, მტერთან ბრძოლაში ისეთ ხერხებს მიმართავდა ხოლმე, თავის რაზმებს ისეთი მიუდგომელი გზებით ატარებდა, რომ მტერიც კი განცვიფრებული რჩებოდა. ქაიხოსრო და მისი რაზმი უთანასწორო ბრძოლის დროსაც კი თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

ქაიხოსრო ვაჩნაძე სამეფო კარმა დაიახლოვა და ხშირად რთულ საბრძოლო დავალებებს აძლევდა. ერთხელ მეფემ ქაიხოსრო ვაჩნაძის მეთაურობით რაზმები ლეკთა დასათრგუნავად გაგზავნა, რომელთაც გაღმა მხრის სოფლები აეკლოთ და ერთიანად გადაებუგათ, თვითონ კი მდინარე ალაზნის პირას დაბანაკებულიყვნენ და ღრეობდნენ. ქაიხოსრომ თავისი რაზმებით მოხერხებულ ადგილას გადალახა ალაზანი და მოულოდნელად თავს დაეცა გათავხედებულ მტერს, რომელიც დიდად სჭარბობდა კახელთა რაზმებს. ამ ბრძოლაში ქაიხოსრომ სახელი გაითქვა. მტერი არამც თუ უკუაქცია, თავისი რაზმებით კვალდაკვალ მიჰყვა, შეიჭრა იმათ მიწა-წყალზე და ის დღე დააყენა, რომ სულ თავგზა აუბნია: ვინ საით გარბოდა, არ იცოდა. გატეხილი მტერი მიუვალ მთებში შეიხვეწა.

ქაიხოსროს ამ გამარჯვებამ ლეკები ძალზე გააოცა, მათ ქაიხოსრო ვაჩნაძეს მოხერხებულობის გამო ზედმეტ სახელად „ტურა ქაიხოსრო" შეარქვეს: რა ტურასავით დაძვრებაო, ამ წამს რომ ხეობაშია, იმ წამს — უცებ ტყეში ამოჰყოფს თავსაო. — გაკვირვებას იყო მტერი.

ამის თაობაზე არსებობს სხვა გადმოცემაც, რომელიც ცნობილ ქართველ მკვლევარს პ. ცხვილოელს (კარბელაშვილს) ჩაუწერია:

ერთხელ ქაიხოსრო ლეკებმა შეიპყრეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და ტყვედ წაიყვანეს. როცა სამშვიდობოს გავიდნენ, ლეკებმა ტყისპირას დაივანეს და ძილს მიეცნენ. შუაღამეს ტყიდან ტურების ჩხავილი მოისმა. ქაიხოსრომ ყვირილი მორთო: „მიშველეთ, ვაიმე, ტურებმა არ შემჭამონო". ლეკებმა ყურადაც არ იღეს იმისი წუხილი, მაშინ ქაიხოსრომ სთხოვა: „თქვენ შუა მაინც ჩამაწვინეთ, ტურების ლუკმა არ გავხდეო". ლეკებმა ქაიხოსროს ხელები გაუხსნეს და შუაში ჩაიგდეს. ქაიხოსრომ განგებ ხვრინვა ამოუშვა, ვითომდა მძინავსო, ლეკებსაც ძილმა წაართვა თავი. ქაიხოსრომ აღარ დააყოვნა, გვერდით მძინარე ლეკს ხანჯალი ამოაცალა, ფეხებზე მოჭერილი საბელი გაიჭრა, მერე წამოდგა, შვიდივე ლეკს ფეხები გაუკრა და ერთმანეთზე გადააბა. სწრაფად აისხა მათი იარაღი და თავისი სოფლისაკენ გამოსწია. სადაც თქვენი დაიკვეხოთ, ჩემიც იქა თქვითო. ამ გადმოცემით, თითქოს ამის მერე შეერქვა მას „ტურა ქაიხოსრ.

„ტურა ქაიხოსრო" 1735 წელს, 57 წლისა გარდაიცვალა.

საქართველოს მატიანეში, მართალია, ქაიხოსრო ვაჩნაძის სახელი, როგორც გმირისა, არ იხსენიება, მაგრამ სამაგიეროდ, ხალხმა თავის ხსოვნაში შემოინახა მისი გმირობის ამბები, რაც მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ჩაიწერა და გაზეთ „დროების" რედაქციამ თავის ფურცლებზე 1885 წელს მოათავსა.

ვახტანგ სიდამონიძე.

მხატვარი
იური ქლიბაძე.





## ვინ როგორ იწმენდდა კბილებს

ადამიანთა თაობებმა ბევრი საშუალება გამოიგონეს კბილების შესანარჩუნებლად და პირის ღრუს სუფთად შესანახად. ძველი ეგვიპტელები და ბერძნები ფიქრობდნენ, რომ სუროს — მზის ღმერთის წმინდა მცენარეს — შეუძლია მტკივანი კბილის განკურნება. ჩინელი მკურნალები, 3.500 წლის წინათ, კბილის ტკივილის გაყუჩებას ცდილობდნენ ნემსის ჩხვლეტით. ოღონდ კბილში კი არა, არამედ იდაყვში. რომაელები კბილების საწმენდად სპეციალურ საცხებსა და ხის ჩხირებს, აგრეთვე ირმის რქის დაწვით მიღებულ ფხვნილსაც ხმარობდნენ. ღრძილების გასამაგრებლად კი დაფნის ფოთოლს იყენებდნენ.

## ლომი ნაკლებ საშიშია

აქამდე ლომების წვრთნა ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო პროფესიად ითვლებოდა. მაგრამ რამირეს პაჩეკო, ესპანეთის ქალაქ ვიროს პროფესიონელ ფეხბურთელთა კლუბის მწვრთნელი, ამაზე სულ სხვა აზრისა გახლავთ. პაჩეკომ გადაწყვიტა თავისი სიცოცხლის დარჩენილი დღეები ამიერიდან ლომების წვრთნას შესწიროს; მე ეს ხელობა ფეხბურთთან შედარებით გაცილებით უს შიშროდ მიმაჩნია. მწვრთნელის ეს მოსაზრება გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იქაურ ფეხბურთის გულშემატკივართა სიფიცხეს. საკმარისი იყო იმ გუნდს, რომელსაც პაჩეკო წვრთნის, სამჯერ ზედიზედ წაეგო, რომ მწვრთნელისათვის ქვების სეტყვა დაეშინათ; მისი სახლისაგან ფერფლის გროვაღა დატოვეს; თვითონ რამირესმა თავის ცოლშვილთან ერთად ძლივს გაასწრო სახანძრო მანქანით.

## „აბა, მოფრინდით!“

როგორც კი მზე ჩავა, ავსტრალიის მდინარე უორეგოს ნაპირზე სამი ახალგაზრდა ჩამოჯდება ხოლმე და თავის შიშველ მუხლებს დააშტერდება. დროდადრო, სისხლისმწოველი მწე-



რები რომ დააფრინდებიან, ამ ახალგაზრდებს მუხლებთან მიაქვთ მტვერსასრუტის მსგავსი რაღაც ხელსაწყოები. „მტვერსასრუტების“ დახმარებით ისინი მთელი საღამო ათასამდე მოსკიტს იჭერენ, რომლებსაც სიდნეის სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ დაავადებათა განყოფილებაში გზავნიან გამოსაკვლევად. საცდელი მასალის წარმოდგენისათვის ინსტიტუტი მათ სათანადო თანხას უხდის.

ყოველ საღამოს უორეგოს ნაპირზე სამი ახალგაზრდა ზის. ყოველ საღამოს გაისმის ერთი ძახილი: „აბა, მოფრინდით!“

## „ვყიდულობ ვულკანს“

ასეთი ლაკონური განცხადება დაბეჭდა ამერიკის გაზეთებში ფ. გერსტენმა, ოთახის ყვავილებით მოვაჭრე ფირმის ხელმძღვანელმა. საქმე ის არის, რომ ყვავილების გამოსაყვანად მან ვულკანური ფერფლი გამოიყენა და ყველა თავის კონკურენტს აჯობა. ფირმას ბევრი ვულკანური ფერფლი ესაჭიროება. გერსტენს უკვე შესთავაზეს რამდენიმე ვულკანი ეკვადორიდან, ჩილედან, სადაც არის ვაკანტური კრატერები.

## როგორ გამოვიყენოთ შლაპა?

საფრანგეთში ყოველწლიურად 50 ათას გამოგონებაზე იცემა პატენტი. და მერე, რას არ იგონებენ! მაგალითად, პლასტმასის ხელი ხელმძღვანელთათვის, რომლებსაც ბევრი ადამიანის ხელის ჩამორთმევა უწევთ, ან კიდევ — კოვზი ულვაშიანებისათვის და ასე შემდეგ...

გამომგონებლების ფხიზელმა თვალმა ისიც კი „აღმოაჩინა“, რომ ადამიანს ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გამოუყენებია თავისი შინაგანი რესურსები. ვინმე ჟოზეფ ბერგალიმ გამოიანგარიშა, რომ ადამიანის გულმკერდი სუნთქვის დროს 23 ათას მოძრაობას აკეთებს და წარმოადგინა აპარატი სუნთქვის საშუალებით ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად.



ცხოველთა მოყვარული გამომგონებლები საზოგადოებას სთავაზობენ ცხენის ველოსიპედის პროექტს, რეკლამის ყოვლისშემძლეობის თაყვანისმცემელნი — აკვარიუმის თევზების სარეკლამო ჟილეტებს; ზოგი „ანტიბალლინჯოს საწოლს“ იგონებს, ზოგი — აპარატ „ანტიხვრინვას“, სხვები კიდევ იმაზე იმტვრევენ თავს, თუ როგორ შეიძლება მამაკაცის შლაპის თავისუფალი არეების გამოყენება.



## გოლიათი გემი-ქარხანა

საბჭოთა თევზსარეწაო ფლოტს უზარმაზარი გემი-ქარხანა „ვოსტოკი“ შეემატა. მისი




წყალწყვა 43 ტონაა, სიგრძე კი — მეოთხედი კილომეტრი.

მსოფლიო თევზჭერის პრაქტიკაში ეს არის პირველი მოცურავე ბაზა, რომელსაც თევზისმომპოვებელი გემები უკან კი არ გაუყოლებია, არამედ ზედა გემბანით დააქვს თანღია ზღვაში, იქ, სადაც თევზი უნდა დაიჭირონ, გემებს საგანგებო ონკანი უშვებს წყალში. „ვოსტოკი“ ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებში დაიჭერს და გადაამუშავებს თევზს.

„ვოსტოკზე“ მოთავსებული მექანიზებული საკონსერვო ქარხანა ერთ ცვლაში 300 ტონა თევზს გადაამუშავებს.

გოლიათი ხომალდისა და მასზე მოთავსებული გემების მოსამსახურეთათვის შესანიშნავი პირობებია შექმნილი. მეზღვაურები და ქარხნის მუშები ცხოვრობენ ერთ და ორადგილიან კომფორტაბელურ კაიუტებში, სადაც კონდიცირებული ჰაერის სისტემაა. თვით ეკვატორზეც კი ვერ იგრძნობენ სიცხეს.

გემბანზე არის საცურაო აუზები, სპორტული მოედნები, აქვთ საკუთარი კინოთეატრი.

თუ როგორ მიმდინარეობს რეწვა, ამის შესახებ მონაცემებს კრებს და ამუშავებს ელექტრონულ-გამომთვლელი ცენტრი. მუშაობის ყველაზე გონივრულ გეგმასაც იგი შეარჩევს ხოლმე.



ორი ნახმარი, მოძველებული წინდისაგან დიდებული საკიდი შეიძლება გაკეთდეს პულოვერის, კაბისა თუ პერანგის გასაფენად. მისი კარგი თვისება ის არის, რომ გასაშრობად გაფენილ საგანს დეფორმაციისაგან იცავს.



სქელ მავთულს იოლად მოხრი გირაგით, თუ ხელთ ლითონის ორი ღერძულა გექნება. ღერძულასთან ერთად, მავთულის ერთ-ერთი თავი გირაგს პირში დაუტანე და მოუჭირე, შემდეგ მავთული მეორე ღერძულას შემოახვიე და ასე შემდეგ.



თუ მოინდომებ, ზოგჯერ სულ ხუთიოდე წუთში ისეთ სასიკეთო საქმეს გააკეთებ ოჯახისათვის, რომ შენდამი მადლიერების უსაზღვრო გრძნობით აღსავსებ უფროსებს.

სულ ორიოდე წუთი დაგჭირდება, რათა შამპუნიანი პოლიეთილენის რბილი ბუშტარა შესანიშნავ სარწყულებლად გადააქციო. ეს კი დიდად საჭირო რამ არის უთოობისას. საცობს გავარვარებული ნემსით შუაზე რამდენიმე ნახვრეტი გაუკეთე იმ ვარაუდით, რომ ცენტრში ნახვრეტები შედარებით წვრილი იყოს, გარშემო კი — ფართო. შემდეგ შიგ წყალი ჩაასხი (პირთამდე ნუ აავსებ). დააჭერ თითს თუ არა, შიგ დარჩენილი ჰაერი წყალს ნახვრეტებიდან გამოასხამს. პოლიეთილენიანი დიდი ბოთლი ასევე იოლად გადაიქცევა ხოლმე ბაღის სარწყავ ინვენტარად.



მარცხენა ხელი როცა დასაქმებული გაქვს, მარტო მარჯვენა ხელითაც შეგიძლია ლურსმნის ჩარჭობა, და აი როგორ: მოიქციე ლურსმანი ორ თითს შუა და თავით ჩაქუჩს მიაყრდენი, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები, შემდეგ ჩაქუჩს გინდა დაჰკარი, გინდა მიაწექი.



ტექნიკური მიზნისათვის (ავტომანქანის აკუმულატორში ან ტელევიზიის ლინზაში ჩასასხმელად) საჭირო დისტილირებული წყალი შეიძლება თავისუფლად შეცვალო მაცივრის ყინულის დადნობის შედეგად მიღებული წყლით.

## ს ა ქ ი ე ბ ე ლ ი


დ. შენგელაია—მილოცვა მოსწავლეებისადმი. გარეკ. 2

გ. მზარელუა — წლებით დათოვლილი, მრავალჭირნახული... (ნარკვევი) . . . . . . . . 1

ს. მარშაკი — ერთი მოწაფისა და ექვსი ერთიანის ამბავი (ლექსი. თარგმანი ა. ონელისა) . . . 4

ნ. შამანაძე — ბიჭები კიბეზე ადიოდნენ (მოთხრობა. გაგრძელება) . . . . . . . . . . 6

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი . . . . . . . . . 11

მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა . . . . . 12

ზ. ჯანდიერი — სახელოვან სპორტსმენთა მემკვიდრენი (წერილი) . . . . . . . . . 18

ი. კინწურაშვილი — რკინის ბიჭი (ფანტასტიკური მოთხრობა) . . . . . . . . . . 21

ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი . . . . . . . . . 25

თ ა მ ა შ ო ბ ე ბ ი . . . . . . . . . 27

ოქროს კუნძული — (ჩინური ზღაპარი. თარგმანი ა. ნემსაძისა) . . . . . . . . . . 28

ვ. სიდამონიძე — „ტურა ქაიხოსრო" (წერილი) . . . 30

ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . . . . . . . . 31

გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი — . . . . . . . . . 32

ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . . . . გარეკ. 3



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა— ზურაბ ფორჩხიძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14
გადაეცა ასაწყობად 18/VII-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VII-70 წ. ქაღალდის ფორმატი
60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. [illegible] 4. შეკვ. № 224. ტირ. 123.800. [illegible] 02151.

ფასი
20





რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**ჰორიზონტალურად:** 1. ქართველოს ავტონომიური რესპუბლიკა; 1. გრანიტის შემადგენელი მინერალი; 8. ქართული ზეპირსიტყვიერების მითოლოგიური გმირი; 11. ბოლშევიკური გაზეთი; 12. აფრიკის ქალაქი; 13. მწერლობის ჟანრი; 14. ხის ნაყოფი, რომლითაც იკვებება ცხოველი; 15. სუსტი ქარი; 16. ოკეანის ცხოველი; 18. აფრიკის ნაური ფრინველი; 4. მუსიკალური საკრავი; 5. ქიმიური ელემენტი, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში; 6. საქართველოს ძველი სახელწოდება; 8. კონტინენტი; 9. კავშირი წინადადებაში; 10. სახელმწიფო; 16. ცეკვა; 17. უარყოფითობის აღმნიშვნელი სიტყვა; 19. ცხენოსნური თამაშობა საქართველოში; 21. საბჭოთა კავშირის



მდინარე; 20. ყაზახეთის დედაქალაქი; 23. წყალდიდობის შესამაგრებელი საშუალება; 25. ლითონი; 26. წყლით მკურნალობის საშუალება; 27. კუდიანი ვარსკვლავი.

**ვერტიკალურად:** 1. საწერი სითხე; 2. ადამიანის სახის ნაწილი; 3. შიერთ-ერთი მდინარე; 22. წყალზე მიმოსვლის საშუალება; 24. წყლის მოსამარაგებელი საცავი; 25. ქართული საესტრადო ორკესტრი.

ქეთევან ჟელიძე,
ზესტაფონის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე.

## სწრაფად და ზუსტად

აბა, ვინ დათვლის ყველაზე სწრაფად, რამდენი სამკუთხედია აქ მოცემულ თვითეულ ფიგურაში?







## ჭადრაკის ცხენის სვლით

ჭადრაკის ცხენის სვლის მიხედვით წაიკითხ ავ თ ერთ-ერთი ქართული კინოსურათის სახელწოდებას. საწყის სვლას გიჩვენებთ ისარი.

შეადგინა თიანეთის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე ციცინო გიანაშვილმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ე | ზ | ნ | | ვ | ჩ | ს |
| ი | | კ | მ | ხ | | ს |
| ა | შ | ვ | | ც | ა | ე |

## გეომეტრიული თავსატეხი



აქ გამოსახული ფიგურა ორი სწორი ხაზით 6 ნაწილად უნდა გაიყოს. აბა, სცადე ამის გაკეთება.

## პასუხი № 8-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

**ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:** 1. ასო; 3. მაროკო; 4. ნიგერი; 6. კიო; 8. ასპირატორი; 13. ბზიფი; 14. ირანი; 18. დუნაი; 23. ათენი; 26. ოძელაშვილი; 27. იგრეკი; 28. სირენა; 29. ომიაკონი; 31. ბანა; 32. პითაგორა; 33. ინიციალი.

**ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:** 1. არზნი; 2. ოფიცერი; 3. მადრიდი; 4. იუევსკი; 6. კალკუტა; 7. ომეგა; 8. ალტაი; 9. ავანგი; 10. იანძი; 11. ეივე; 12. მილი; 15. ლემა; 16. ნოველა; 17. ნოტა; 18. დიპლიპიტო; 19. ნანსენი; 20. იალბუზი; 21. კანიო; 22. ეპოსი; 23. აპოთემა; 24. ენერგია; 25. იზოგრაფია; 30. ინი; 32. პაი.

### ლიტერატურული ჩაინვორდი

**ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:** 1. სადღეგრძელო; 2. აჩრდილი; 3. ორი ობოლი; 4. მერანი; 5. გოგჩა; 6. სურამის ციხე; 7. ბავშვებს; 8. პოეტი; 9. სიმონა; 10. ალი; 11. განთიადი; 12. გვადი ბიგვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა






ვ. ი. ლენინი სმოლნში.



კვიცი

ალექსანდრე ბუზიკაშვილი,
თბილისის 44-ე საშუალო სკოლის
V კლასის მოსწავლე.



ხედი აივნიდან.



გიორგი საკაძე.